619
1990/2

ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

თვეგრავალი

№ 2 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო პატარავ,
შეიშრე ცრემლი,
ლამაზ თვალთაგან ჩამომდინარე.
ჩემი მამულის დიდო იმედო,
შენს მიწა-წყალზე მშვიდად იარე.
უკუღმა არვის გააფარცხვინო,
რაც წინაპრებმა დახნეს, დაბარეს.
მხოლოდ შენია ეს საქართველო
და სახვალიოდ შენ ჩაგაბარებთ.

მარინე უტიაშვილი

ფოტო მარინე უტიაშვილისა

მამულო, საუკვარელო!

დროშა

№ 2 თებერვალი, (398), 1990

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ოთარ ქინქლაძე. თვითმოქმედება ანუ ერის ლონის-ლონე.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი. ქართული პირველი დივიზია.

ჯემალ მეხრიშვილი. ფირმა: „საქართველოს ფულები“.

ნოდარ ფულეისკირი. ერთი თავი რომანიდან „აფთარი“.

ავთანდილ გიორგობიანი. სად ვიპოვოთ მალამო?

ს. ჩერნიაკოვა. გავუგოთ ერთმანეთს.

ნინო ხოფერია. გალაკტიონის ჩანახატები.

გრიგოლ რობაქიძე. ხედავ ფიროსმანს და გჯერა საქართველო.

საარქივო მასალებიდან.

გივი გამრეკელი. მსოფლიო პირველობა სეკუნდანტის თვალით.

ჯემალ მჭედლიშვილი. იგი იტალიის მთებში იბრძოდა.

პანორამა.

კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ოთარ ქინქლაძე

●

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გულნარა ბახტაძე (პ.მ.მ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ ბვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ოთარ ჭინჭლაძე

თვითმოქმედება ანუ ერის ღონის-ღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1921 წელი. 25 თებერვალი.

ახლა უკვე საყოველთაოდაა აღიარებული და ყველამ კარგად იცის, რაც მოხდა საქართველოში და როგორადაც 1921 წლის 25 თებერვალს.

იმ სუსხიანი ზამთრის შემდეგ ზუსტად 69 წელი გავიდა.

საქართველოს „გასაბჭოების“ თავად ფაქტს სავსებით ობიექტური პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცა რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიაზე, რომელმაც ისტორიულ სინამდვილესა და დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დაადასტურა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების უპრეცენდენტო დარღვევის ეჭვმიუტანელი ფაქტი. დადგინდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით, ხოლო ეს აქცია მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია.

ამიტომ არ არის 25 თებერვალი და იგი არც შეიძლება იყოს საქართველოში საზეიმო-სადღესასწაულო აღნიშვნის თარიღი.

მაგრამ, რაღაც მაინც უნდა ითქვას.

ხოლო ეს „რაღაც“, მართალი სიტყვის თქმაა.

ამიტომ ვიტყვი და, რაც იქნება, იქნება.

იმას ვიტყვი, რომ ქართველი ერისათვის, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ისტორიული გზის მანძილზე მეორედ დაკარგა სისხლით, ოფლითა და დაგვით აღდგენილი, აღიარებული და საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებით განმტკიცებული სახელმწიფოებრიობა, ეს იყო ნამდვილი „მეორედ მოსვლა“.

„პირველი მოსვლა“ კი მაშინ ვიგემეთ, როცა რუსეთის იმპერიამ „ერთმორწმუნე“ საქართველო მიიერთა. მოგვატყუეს: ქართულმა სამეფო ტახტმა სული ისე განუტევა, რომ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო.

იდგა 1801 წლის გვიანი გაზაფხული — წელიწადის ნაადრევი ფერისცვალების დრო.

მაგრამ, მოტყუებულმა, დამცირებულმა და გაოგნებულმა საქართველომ მაინც მოახერხა აზრის მოკრება და იმასაც მიხვდა, რომ არაფრად არგებდა „ნაძრახი სიცოცხლის“ მაცდური გზით სიარული.

მიხვდა და ძალ-ღონეც მოიკრიბა.

გაიბრძოლა კიდეც.

მაინც არაფერი გამოვიდა.

არაფერი შეცვლილა.

გარეშე მტერი შინაურმა შეცვალა, ხოლო დაპყრობა კი გრძელდებოდა. ძალითაც და ტკბილი სიტყვითაც, ჩინ-მედლების ჩამორიგებითაც და დედა-ენის წართმევითაც.

კვლავ სისხლის ღვრა და... კვლავ მორჩილება.

მაინც გავუძელით ყველას და ყველაფერს.

გავუძელით და შევინახეთ კიდეც ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი მიწა-წყალი.

უფრო ადრეც, როცა თავს გარეშე დამპყრობლებისაგან ვიცავდით და მერეც, როცა ჩვენში მოჩვენებითმა მშვიდობიანობამ დაისადგურა.

ილია.

— ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედლურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“-ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო.

ის დრო კი წავიდა, მაგრამ ყოველი დროისათვის შესაფერი ცოდნა, აგრეთვე მხნეობა და გამრჯელობა ხომ მაინც არის საჭირო?

რაღა თქმა უნდა, არის.

ხოლო დღეს და ახლა უფრო. განსაკუთრებულადაც უფრო.

ცოდნაც, მხნეობაც, გამრჯელობაც.

ყოველთვის და ყველგან. შინაც და გარეთაც.

იმიტომ რომ, ცვალებადი გარემო და ვითარება, მათთვის დამახასიათებელ ახლებურ ხედვასა და ბიდგომას საჭიროებს.

ილია:

— როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა და კარგს — ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, — მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდან გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის.

ამ კაცური ცხოვრებისათვის იღვწის დღეს ქართველი ერი და სწორედ ამიტომ, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება ჩვენ გონებითი დაკვირვება, რათა დავძრათ ცნობიერება მოქმედებისათვის.

ვცადოთ, ეს „გონებითი დაკვირვება“ მიმდინარე მოვლენებზე და განვითარებად პროცესებზე.

დავაკვირდეთ ყოველივეს. დავაკვირდეთ შინაც და გარეთაც. თან ისე დავაკვირდეთ, რომ არც ჩვენი დიდი წინაპრების ბრძნული შეგონებანი დაგვავიწყდეს.

ამის გარეშე ვერ დასძრავს ასაკში შესული ერი თავის ცნობიერებას თავისსავე მოქმედებისათვის.

ამიტომ საჭიროა გვახსოვდეს, ილია:

— „ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენელებული, აგებული, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს. გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში.

ახლა ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ პასუხი გავცეთ იმავე კითხვას, რომელიც ადრევე იაკობ გოგებაშვილმა დასვა.

კერძოდ:

— გამოვიჩინეთ ისეთივე შეუპოვარი მხნეობა საარსო ბრძოლაში, როგორსაც იჩენდნენ ჩვენი წინაპარნი დამოუკიდებლობისათვის, თუ დავტოვეთ თვითმოქმედება, მივეჩვიეთ სხვის იმედსა და მივეცენით თვლემასა და ძილსა?... განვძლიერდით, ავყვავდით და შევიმოსეთ ახალის მაღალ თვისებებით, თუ დავუძლურდით, მივსუსტდით და უწინდელი ვაჟკაცური თვისებანიც თითქოს დაგვიჭნა და მათ მაგიერ ჩვენში ჭაობის ბალახივით ამოხეთქეს დაბალთა წვრილმანთა თვისებათა და დაამცირეს ჩვენი არსებობა?

აი, რა არის საკითხავი დღესაც.

და ისიც, თუ რანი ვართ ახლა.

თვლემასა და ძილში კარგა ხანს გაუვლია.

120 წელი საქართველომ ცარიზმის უღელქვეშ გაატარა. კიდევ 69 „კაზარმული სოციალიზმის“ მშენებლობას მოახმარა. რამაც სხვისი მოიმედობის დამღუპველი სენი შეგვყარა და თან თვლემასა და ძილსაც შეგვაჩვია. ამ სენისაგან ისევ სხვისი მოიმედეობით განკურნება არ შეიძლება. საკუთარი თავის მკურნა-

ლი თითონ უნდა იყო და თვითმოქმედებაზე დამყარებული ინტენსიური ცხოვრებით იცხოვრო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამოსაფხიზლებლად აღარც თვალების ფშვნეტის და აღარც გაზმორების დრო დაგვრჩა.

და მიუხედავად ამისა, ყველაფერი მაინც არ არის დაკარგული.

ჩვენი დღევანდელობისათვის დამახასიათებელი ეროვნული თვითშეგნების არნახული ზრდა და მასშტაბები იმის მაუწყებელია, რომ ცოდნის, მხნეობისა და გარჯის მეშვეობით, შესაძლებელია სასურველ მიზანს მივაღწიოთ. მაგრამ, ამისათვის მარტოოდენ სურვილი არ კმარა.

იაკობ გოგებაშვილი:

— დიაღ, კარგი რამ გახლავთ ეროვნულის პრინციპის დამყარება ყოველს სფეროში; მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმოდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუკეთესობაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედაც ეროვნულს უფლებათა აღდგენას კეთილი გავლენა აქვს; მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამავლობით. მეორე მხრივ ეკონომიურად აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველს ბურჯად ეროვნულის აღორძინებისა.

მე მაინც მგონია, რომ სხვისი მოიმედეობა, თუნდაც ნაწილობრივ, სწორედ ამ გარემოების შეუფასებლობამ შვა. მაშინაც და ახლაც. კერძოდ იმან, რომ სხვისი მოიმედე ერის ჯანსაღი ორგანიზმი ყოველთვის არ ცხოვრობდა ინტენსიური ცხოვრებით და მთვლემარე მდგომარეობაში მყოფმა, სადღაც რაღაც მნიშვნელოვანი დაკარგა.

ხოლო, ეს იმიტომ მოხდა რომ:

— მცირეოდენი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა, რომელსაც არ ესმოდა ეროვნული პრინციპის დიდი და მაღალი მნიშვნელობა და რომელიც იჩემებდა დემოკრატების სახელსა და მარტო ნივთიერებითს ცვლილებას ვითომ თაყვანსა სცემდა, ვალდებული იყო, მიექცია სერიოზული ყურადღება ეკონომიური კითხვებისათვის, გამოეკვლია იგინი და ცდილიყო შესაბამისი ცვლილება გამოეწვია ხალხის ნივთიერის მდგომარეობისა.

ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, მოვინდომებთ და შევძლებთ თუ არა საკუთარის ცოდნით, მხნეობითა და გარჯით გამოვიწვიოთ ასეთი ცვლილებები ხალხის ნივთიერის მდგომარეობისა.

ჩვენზეო როცა ვამბობთ, მხედველობაში მაქვს ის, რომ მინიშნებული ნაკლი მარტოოდენ ხუშინდელი როდია, არამედ დღევანდელიც და, მე თუ მკითხავთ, კიდევ უფრო დღევანდელი. თანაც ისეთი, რომელიც უთუოდ დაამჩნევს ჩვენს ხვალინდელ დღეს თავის დღევანდელობის მძიმე დაღს.

ის მაინც ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ დროსაც და ენერგიასაც თავისი სპეციფიკური და არსებული ვითარების შესატყვისი კონკრეტული გამოვლენები ახასიათებს. ასე იყო მუდამ. საერთოდ ასეა და ასეა ახლაც. ხოლო ეს გამოვლენები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასეთსავე კონკრეტულ პრობლემებს, ამოცანებსა და მიზანდასახულობებს მომწიფებენ, წარმოაჩენენ და გამოკვეთენ. იმ დროს და მაშინაც ასე იყო, როცა იაკობ გოგებაშვილმა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის იდეა წამოაყენა და ჩამოაყალიბა კიდეც. ამას მოითხოვდა იმდროინდელ საქართველოში ჩვენი „დაცემული ვინაობის“ აღდგენის აუცილებლობა და ჩვენივე „ხვალინდელი დღისათვის“ ზრუნვა.

და მიუხედავად ამისა, ახლა, შეცვლილ ვითარებასა და გარემოებაში, „ახალი ტიპის ქართველი“ კვლავ ჩვენი სადღეისო საზრუნავია.

ასეთი საზრუნავი, რომელიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება.

გავბედავ და ვიტყვი, რომ სხვისი მოიმედეობის გზით მთვლემარე სიარულში ჩვენ გზადაგზა ვკარგავდით ქართული ვაჟკაცობის, მახვილგონიერების, სწრაფი რეაგირების, აგრეთვე არასტანდარტულ სიტუაციებში გარკვევისა და ცივი გონებით ნაკარნახევი ფხიზელი შეფასებების თვისებებს. ხოლო, როცა ყოველივე ეს დაგვჭირდა და მოულოდნელადაც. რამაც უმალ გამოგვიყვანა მთვლემარე მდგომარეობიდან, გამოირკვა რომ, არ ვყოფილვართ მზად საკუთარი ეროვნული ინტერესების ენერგიული დაცვისათვის ისე და იმგვარად, როგორადაც ეს ამჟამინდელმა დრომ, ვითარებამ და კონკრეტულმა სიტუაციამ მოითხოვა. იქნება მეჩვენება კიდეც, და ნეტამც ასე იყოს, მაგრამ თითქოს დავკარგეთ მშობლიური მიწა-წყლის რეალური პატრონის ფუნქცია, ძალაც, უნარიც და ვგონებ დავიბენით კიდეც.

არა, ასე არ შეიძლება.

აღარ ივარგებს ასე გაგრძელება.

ეს არ არის და არც უნდა იყოს ჩვენი სავალი გზა.

იმიტომ რომ, სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს ჩვენი ეროვნული თვითმოქმედება ანუ ერის ღონის-ღონე.

არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ამბობენ, რომ ოსებმა ქართულ მიწა-წყალზე, ე. წ. სამხრეთ ოსეთში სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი სვანებისა და აჭარლების ჩამოსახლებაც კი არ დაუშვესო.

მართალია ეს?

კი, მაგრამ როგორ თუ არ დაუშვეს?

ვინ არ დაუშვა?

ან რატომ გახდა შესაძლებელი ამის არდაშვება?

ქართველობამ ოდესღაც სხვები შემოიკედლა, დაასახლა, უპატრონა და ახლა უსახლკაროდ დარჩენილი შვილების დაბინავება აღარ შეუძლია საკუთარ მიწა-წყალზე?

რატომ?

მე მგონი იმიტომ, რომ „მაშინ“ მართლაც ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი.

— ახლა კი არ ვიცით.

ისე გამოდის, ქართული ხასიათის ძლიერი მხარეები დაგვისუსტდა და, ხოლო სუსტმა და უარყოფითმა კი გვძლია.

საქმე იქამდე მივიდა, რომ დემოკრატ პედაგოგთა კავშირის წევრები მოითხოვენ, რათა სასკოლო პროგრამიდან ამოღებული იქნეს სამხედრო მომზადება, ხოლო ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას კი ყველანი მხარს ვუჭერთ.

აბა, ეს საქმეა?

მე ისიც მაწუხებს, რომ იმძლავრა ერთმანეთის გაუტანლობამ, დაწიხლვამ, დროისა და კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად ზოგჯერ იმის კეთებამ, რაც არღვევს ჩვენს ეროვნულ მთლიანობას და ხელს უშლის, ეროვნული იდეალების მატერიალიზებას.

დავფიქრდეთ ამაზე.

ნუ გადავყვებით ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, ნუ დავწამებთ ყველას „ბითუმად“ ერის მოღალატეობას, გავარჩიოთ თეთრი შავისაგან და ნურც იმას შევუნდობთ, ვინც პიროვნულად არ იმსახურებს ამას და მართლაც ჩადენილი აქვს დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე.

რაღაც არ მახსოვს, რომ დაგვესახელებინოს ის, ვინც ხელი მოითბო ქართული მიწების გაყიდვით და ისინი პასუხისგებაში მიგვეცეს; არც ის, რომ ვინმე დასჯილიყო იმ აღვირახსნილი მოქმედებისათვის, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით კვალიფიცირებულია, როგორც პროპაგანდა და აგიტაცია რასობრივი და ეროვნული მტრობის მიზნით.

არც ეს შეგვიძლია სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პროცესში?

არც ამის უნარი გვაქვს?

გვაქვს!

გვაქვს და შეგვიძლია კიდეც ვაკეთოთ ჩვენი ეროვნული საქმე დინჯად, მოფიქრებულად, ყოველგვარი ფუსფუსისა და თეატრალიზებული სანახაობების გარეშე. ისე რომ, არც მოსწავლესა და სტუდენტს შევუშალოთ ხელი სწავლაში და არც მუშას ან გლეხს დოვლათის შექმნაში. იმიტომ, რომ უსწავლელი და გაუნათლებელი საქართველო ვერ იქნება დამოუკიდებელი ისევე, როგორც ვერც მშიერი ან ისეთი, რომლის დამზადებულ პროდუქციას არ ექნება გასაღების ბაზარი.

ნურავის იმედი ნუ გვაქვს.

ეს ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბების განხილვის დროს შექმნილმა იმ ზომის სამარცხვინო ვითარებამ, რომ ამ სხდომის ტრადიციული სატელევიზიო გადაცემაც კი შეუძლებელი გახდა.

და მიუხედავად ამისა, ყრილობა მაინც იძულებული გახდა, ცნობად მიეღო საპარლამენტო კომისიის დასკვნა, ეღიარებინა და დაეგმო გამოყენებული ძალადობის ფაქტი, რასაც შემდგომი მსვლელობა მიეცა.

და მაინც.

სხვისი მოიმედობა არაფერს გვარგებს და ამიტომ ნურავის იმედი ნუ გვაქვს.

საკუთარი თავის, საკუთარი გარჯისა და მონდომების მარტოოდენ.

ჩვენ შინაურ საქმეს ჩვენვე უნდა მოვუაროთ.

თვითმოქმედებაა ერის ღონის-ღონე.

19. 316

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

პირველი ჭართული დივიზია

ქართული წითელი არმიის ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ქართული წითელი ლაშქრის სათავეებთან მეფის რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თბილისისა და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორი, აგრეთვე პირველი დივიზიის მეთაური გიორგი მაზნიაშვილი აღმოჩნდა.

ეს ის გენერალი მაზნიაშვილია, რომელსაც ძნელებდობის ჟამს ბათუმის რევკომმა საქართველოს წითელი ჯარის სარდლობა და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორობა უბოძა.

1921 წლის გაზაფხული იდგა.

გენერალს მძიმე არჩევანი ელოდა. იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ მან უარი განაცხადა საზღვარგარეთ წასვლაზე: თუ ბრძანება არ მეეხება, ფრონტს ვერ დავტოვებო. ცხადია, ისეთი კაცი და თანაც, სამხედრო, როგორიც გენერალი მაზნიაშვილი იყო, ფრონტს მთავარსარდლის ბრძანების გარეშე ვერ დატოვებდა. ეს გასაგებია, მაგრამ რა უპასუხოს ბოლშევიკურ რევკომს, რომელმაც მას წითელი ჯარის სარდლობა შესთავაზა? ის ხომ გუშინ ბოლშევიკებს ებრძოდა იარაღით ხელში. ახლა კი, ეს მოულოდნელი და უცხაური წინადადება.

გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი (1917-1925). ტფილისი. 1927.

— თქვენ გელაპარაკებათ სადგურიდან თენგიზ ყიფიანი. ბათუმის რევკომის წევრი.

მე საშინლად გავკვირდი, ეუპასუხე, რომ არაფერს თუ არ ვიცობრ იმას. ვინც მელაპარაკება, ისიც კი არ ვიცი, რა სიტყვაა რევკომი, რომ მე მსურს ველაპარაკო ჩემს მთავრობის ერთ-ერთ წევრს, ანდა ვარსარდალს.

ამაზე მივიღე პასუხი: გენერალო, მე უნდა ავიხსნათ შემდეგი. თქვენი მთავრობა გაიქცა ბათუმიდან ვერეშითი, ხოლო სანამ გაიქცოდნენ, ციხიდან გაგვაშვეს სუფლეს ჩვენ, ე. ი. ბოლშევიკები და წინადადება მოგაცეს შეეადგინოთ დროებითი მთავრობა. აი, სწორედ ამ დროებითი მთავრობას ეწოდება რევკომი, ე. ი. რევოლუციონური კომიტეტი.

რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა, ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენერალებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის, ე. ი. მეცისრა ქართულ ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრებიდნენენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შეძლებდა.

... ოთახში შერეტნილნი სულგანაბული ელოდნენ გენერალის გადაწყვეტილებას, მის პასუხს. მაზნიაშვილმა ჯერ იქ დამსწრე ქართველ გენერლებს და ოფიცრებს გადაბიდა, მერე რევკომის წევრებს და ცოტაოდენი დაყოვნების შემდეგ დაიწყო:

— ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკუთვნოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ეროდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში, ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბორტებად არ ჩაგვივლის სამშობლოსადმი სამსახურს ვინშვეკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლილები უბრალო მეომრამდე, უწინდელ სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზადა ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევდგები სამხედრო მოქმედების ოსმალების წინააღმდეგ.

— თენგიზ ყიფიანმა რევკომის სახელით მიპასუხა, რომ არც ერთი ჯარისკაცი მენშევიკებთან სამსახურისათვის არავითარ სასჯელს არ მიიღებს, და რომ ამის შესახებ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა მანიფესტი. დასასრულ მოგვმართა ყველას შემდეგი სიტყვებით: „ამ-ხანაგებო, ჩვენ, ბოლშევიკები. დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო მტკიცდ გვიყვარს საქართველო და მისი არმია, ვიდრე მენშევიკები!"

ვერ დამშტიცეს.

— გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ჩამოვიდა ბათუმში ამბ. ს. ორჯონიკიძე. პირველად მას შეეხვედ სამხედრო კომისარის რონოდმი, როდესაც ამ უკანასკნელს მოახსენებს ვეკეთებდი. ამბ. ელიავამ წარმადგინა და უთხრა ჩემი ვინაობა. ამხ. ორჯონიკიძემ მომმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ იცით, რომ თქვენ ანონგარიშზე იყავთ გამოცხადებული და თქვენთან შეხვედრის დროს ყველა კომუნისტს ჭკნნდა უფლება მოეკალით იქვე. ალაგმარე, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ თქვენს მოქმედებას ბათუმში გადაბრალების კრიტიკულ მომენტში და გეპატიჟებათ ყველა ბორობტმოქმედანი, რომელიც ჩაიდინეთ თქვენ მენშევიკების ბატონობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემ სიცოცხლეში პირველად დავიბენი და ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხე. ვერ წარმომედგინა, რომდის და რა ბორობტების ჩადენა შემეძლო ვინმეს წინაშიდ. მე ხომ, როგორც ჯარისკაცი, ვემსახურებოდი პატიოსნად და გულმოდგინედ ჩემს მთავრობას.

მითქვ არ ამატებენ.

არ ამატებენ სრულიად უდანაშაულო ქართველ პატრიოტს, რომელმაც ბათუმიდან და მთელი ჯარიდან განდევნეს თურქი ასკერები, შეასრულა რევკომისათვის მიცემული სიტყვა და პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული მოვალეობა. 6 აპრილს იგი უკვე თბილისში იყო და ცალკე წოდებულ ქართული დივიზიის უფროსად დანიშნეს, ხოლო 6 სექტემბერს... დაამატებენს.

— ციხეში ორ წელიწად ნახევრის ტუსაღობის შემდეგ 1923 წლის 20 მაისს სამხედრო ცენტრის წევრებთან ერთად, მე გადამიწყვეტეს სიკვდილით დასჯა. მაგრამ ეს განაჩენი შემიცვალეს 5 წლის გაძევებით საქართველოს საზღვრებიდან.

იყო ასე და რას იზამ.

მაგრამ მშობელი ხალხი უნდა იცნობდეს თავის გმირებს.

ასე იმადებოდა „გასაბჭოებულ" საქართველოში ქართული წითელი ლაშქარი. შეიქმნა საქართველოს სსრ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი. საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 19 ივლისის დეკრეტით, ქართული წითელი ლაშქრის სარდლად დანიშნეს მეფის რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი ალექსანდრე სეიმონის ძე ანდრონიკაშვილი.

საბჭოთა საქართველოში სამხედრო მშენებლობის ამოცანებმა დღის წესრიგში მეშვთია და ალეგთია წრიდან გამოსული სამეთაური კადრების მომზადების საკითხი დასცა. საჭიროო გახდა უმცროს და საშუალო მეთაურთა მოსამზადებელი კურსების, აგრეთვე სამხედრო სასწავლებლების შექმნა. წითელ მეთაურთა მომზადების ერთვნული საქმეადლო გახდა ქართველი გერმანიებულები სამხედრო სკოლა, სადაც ვეკრი, მომავალში სახელგანთქმული, ქართველი მხედართაფერფლი ალბარდა.

ცოტა ხანს იარსება ქართველმა წითელმა არმიამ, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით, რკკ (ბ) კავკასიის ბიუროს სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 1922 წლის ქართული წითელი ლაშქარი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შემადგენლობაში შეედგა. ამ გადაწყვეტილებამ ქართველი ბოლშევიკების და საქართველოს ეს (ბ) ცენტრალური კომიტეტის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რათა წითელი არმიის ქართული ერთეული შენაერთები საქართველოს სსრ სამხედრო და საზღვაო დაქვეშდებარეებში დაებრუნებინათ. ეს მოთხოვნა უშედეგო აღმოჩნდა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 17 ივლისის დადგენილებას მწყრალად შეხვდნენ რკკ (ბ) კავკასიის ბიუროო, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლობა და წითელი არმიის გენერალური შტაბი.

ქართველმა წითელმა არმიამ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა. ... ერთ-ერთ ... ერთ-ერთ ... ...

გიორგი მაზნიაშვილი

შალვა ელიავა

გიორგი ქუთათელაძე



თედორე ბუაჩიძე

ნიკოლოზ ბლუაშვილი

შალვა დადიანი

განოებს, რომლებმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ქართულ დივიზიებში ფუნქციონირებდა სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება, გამოდიოდა ალმანახი და გაზეთი „წითელარმიელი“. ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს ქართული მარშები და სამწყობრო სიმღერები, რაც დადებით ზეგავლენას ახდენდა ჯარისკაცთა ფსიქოლოგიურ და მორალურ განწყობაზე. ჯეროვან დონეზე იდგა მეთაურთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში, მათ შორის გენერალური შტაბის აკადემიაში, არაერთი ქართველი მეთაური სწავლობდა.

დრო კი მიდიოდა და თავისას აკეთებდა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 7 მარტის ერთობლივი დადგენილებით წითელი არმიის ეროვნული შენაერთები, ნაწილები და სამხედრო სასწავლებლები გადაკეთდნენ წითელი არმიის საერთო საჯარისო შენაერთებად, ნაწილებად და სამხედრო სასწავლებლებად. პირველი ქართული მსროლელი დივიზია გადაკეთდა 47-ე წითელდროშოვან მსროლელ დივიზიად, მეორე — 63-ე წითელი ვარსკვლავის ორდენოსან სამთო-მსროლელ დივიზიად, ხოლო ქართული ცხენოსანთა ათასეული — 24-ე საკავალერიო პოლკად. ამ შენაერთებისა და ნაწილების ქართველი მეთაურები, აგრეთვე პოლიტმუშაკების დიდი ჯგუფი შემდგომი სამხედრო სამსახურის გასავლელად გაიგზავნენ კიევისა და ხარკოვის სამხედრო ოლქების ნაწილებში.

1941 წელი. 22 ივნისი.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლები.

დღის წესრიგში კვლავ დაისვა ეროვნული სამხედრო შენაერთების აღდგენის საკითხი.

1941 წლის 13 ნოემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ეროვნული შენაერთების შექმნის შესახებ“. უფრო მოგვიანებით, ეს დადგენილება საკანონმდებლო წესით [illegible] სსრ კავშირის უმაღლესი [illegible] მოწვევის მეათე სესიამ 1944 წლის 1 თებერვალს მიიღო კანონი „მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და ამასთან დაკავშირებით საერთო-საკავშირო თავდაცვის სახალხო კომისარიატის საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“. ამ კანონის შესაბამისად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში (ძირითადი კანონი) შეეიდა შესაბამისი შესწორებანი საგანგებო მუხლების სახით.

ქართული ეროვნული შენაერთებისა და ნაწილების საბრძოლო მოქმედებამ 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სავსებით გაამართლა დანიშნულება. ისინი ომის დასაწყისშივე გაიგზავნენ მომქმედ არმიებში და აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში. უკვე 1942 წლიდან დაიწყო მოქმედი არმიების შესავსებად ქართული ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბება. ქერჩ-ფეოდოსიის 1941-1942 წლების ოპერაციებში ვ. ძაბახიძის მეთაურობით მონაწილეობდა 224-ე მსროლელი დივიზია. კავკასიის დაცვაში, ყირიმისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში მონაწილეობდა 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია გ. ყურაშვილის მეთაურობით, რომელსაც შემდგომში ეწოდა ტამანის წითელდროშოვანი და კუტუზოვის მეორე ხარისხის ორდენოსანი დივიზია. 394-ე მსროლელი, შემდგომში — კრივოი როგის წითელდროშოვანი დივიზია, რომელსაც სხვადასხვა დროს ვ. ძაბახიძე, ვ. ქანთარია და სხვები მეთაურობდნენ. მონაწილეობდა კავკასიასთან ბრძოლებში, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის განთავისუფლებაში. ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა 392-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც სხვადასხვა დროს ი. სილაგაძე და გ. ყუფარაძე მეთაურობდნენ. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს იცავდა 406-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც სხვადასხვა დროს გ. ყუფარაძე, ვ. ძაბახიძე და ვ. ჩხობაძე მეთაურობდნენ. 414-ე მსროლელ, შემდგომში ანაპის წითელდროშოვან დივიზიას სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ ი. ბაბალაშვილი, გ. ყურაშვილი და ვ. ძაბახიძე. 1943 წელს შეიქმნა კიდევ ერთი 296-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელსაც ვ. ხუბულური მეთაურობდა.

ახალი ეტაპი საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიაში 50-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო. სწორედ მაშინ დასრულდა ეროვნული სამხედრო ფორმირებების, მათ შორის ქართული ნაწილებისა და შენაერთების არსებობის ხანა.

ეს იყო ნიკიტა ხრუშჩოვის სახელთან დაკავშირებული სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ბატონობის წლები, როცა ერთპიროვნულად მიღებულმა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებამ დაასამარა საბჭოთა არმიის ინტერნაციონალური ბუნება და ხასიათი.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

ფირმა: „საქართველოს წყლები“

გარდაქმნის პროცესში, როცა უკვე ბუნებრივ მოვლენად იქცა საქართველოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე სჯა-ბაასი, მიტინგებსა თუ კერძო საუბრებში ხშირად გაისმის გულმხურვალე პატრიოტ-დილეტანტის მიერ თავმომწონედ წამოძახილი ფრაზა: საქართველოს მარტო „ბორჯომის“ შემოსავალი შეინახავდაო!

მართლა ასეა?

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ბოლო ხანს რედაქციაში უფრო გახშირდა წერილები და ტელეფონის ზარი. მკითხველებს სურთ, რომ საქართველოს მინერალური წყლების შესახებ იცოდნენ არა მითები და ლეგენდები, არამედ სინამდვილე.

რედაქციამ გაითვალისწინა მკითხველთა სურვილი და საქართველოს მინერალურ წყლებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ინტერვიუ ჩამოერთვა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლებისა და ლუდის მრეწველობის რესპუბლიკური სახელმწიფო ფირმის „საქართველოს წყლები“ თავმჯდომარეს **ბურამ ახრახაძეს.**

კითხვა: ბატონო გურამ, რომელი სახეობის მინერალური წყლები ჩამოისხმება საქართველოში და რა რაოდენობით?

პასუხი: საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 725 დასახელების მინერალური წყალი. ამ საბადოებთან მოქმედი წყაროების რიცხვი კი 2300 აღემატება. რომელთა სადღეღამისო დებატი 100-3000 და მეტი კუბმეტრია. მინერალური და სუფრის წყლები ბოთლებში ჩამოისხმება რესპუბლიკის 15 ქარხანაში.

ჩვენი სისტემის საწარმოები ყოველწლიურად გვაწვდიან რესპუბლიკაში ჩამოსხმული მინერალური წყლების 93,6 პროცენტს. სახეობათა მიხედვით სურათი ასეთია: „ბორჯომი“ — 301,0 მილიონი ბოთლი, „საირმე“ — 9,0, „ზვარე“ — 10,4, ნაბეღლავი“ — 10,8, „სქური“ — 8,4 „მიტარბი“ — 40,0, „ლუგელა“ — 0,3 მილიონი ბოთლი.

გარდა ამისა, ჩვენსავე სისტემაზე მოდის რესპუბლიკაში გამოშვებული უალკოჰოლო სასმელების 75,5 პროცენტი ანუ 10,0 მილიონი დეკალიტრი. ამას დაუმატეთ 8,0 მილიონი დეკალიტრი ლუდი.

მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე საწარმოებს ყოველწლიურად 3000-3500 ტონა ნახევარფაბრიკატებს ვაწვდით უალკოჰოლო სასმელების წარმოებისათვის.

კითხვა: საზღვარგარეთ სად და რომელი სახეობის მინერალური წყლები გაგვაქვს?

პასუხი: ჩვენი ნაწარმი, ძირითადად „ბორჯომი“, უცხოეთის რვა ქვეყანაში გადის. ესენია: აშშ, გფრ, გდრ, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ვიეტნამი.

კითხვა: როგორ ნაწილდება ექსპორტიდან მიღებული ვალუტა?

პასუხი: ადრე მეტად უმნიშვნელო ნაწილი რჩებოდა რესპუბლიკას. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. უცხოური ვალუტის 70 პროცენტი ერგება მრეწველობას, 30 პროცენტი კი რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაირიცხება. დროთა განმავლობაში, როცა მიღებული ვალუტით დარგის მრეწველობა სულს მოითქვამს და დაასრულებს ტექნიკურ გადაიარაღებას, მაშინ მისი ვალუტის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს კეთილდღეობას მოხმარდება.

კითხვა: საინტერესოა, მსოფლიოში ვინ არიან მინერალური წყლების ჩამოსხმისა და ექსპორტის ტრადიციული ქვეყნები და საქართველო ითვლება თუ არა ასეთ ქვეყნად?

პასუხი: ასეთი ქვეყანა რამდენიმეა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა საფრანგეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ბულგარეთი. მთელს მსოფლიოშია განთქმული ფრანგული მინერალური წყლები „ვიში“ და „პერიე“. ასევე კარგადაა ცნობილი ბულგარული „სერდიკაც“. ჩვენ? ჩვენ კი უცხოეთში მინწყლების ისეთი უმნიშვნელო რაოდენობა გაგვაქვს, რომ საქართველო ჯერჯერობით ვერ ჩაითვლება ამ სფეროში ექსპორტის ტრადიციულ ქვეყნად. თუმცა უხვი და მრავალფეროვანი რესურსები დიდ პერსპექტივებს გვთავაზობენ.

კითხვა: საერთოდ, როგორი ტენდენციები შეინიშნება მინერალური წყლების მოთხოვნილება-მოხმარების მხრივ?

პასუხი: დღითი დღე იზრდება! ბევრ დიდ ქალაქში, რეგიონსა თუ ქვეყანაში სასმელი წყალი ნომერ პირველ თავსატეხადაა ქცეული. ისეთ მაღალგანვითარებულსა და ოკეანე-ზღვებით შემოსაზღვრულ ქვეყანას, როგორიც იაპონიაა, ალასკადან მიაქვს ყინულის ბრიკეტები და მერე შინ სასმელ წყლად აქცევს. აღარას ვამბობ ცხელი სარტყლის ზოგიერთ ქვეყანაზე, რომელიც პირდაპირ იმპორტული წყლით ცოცხლობს. ასე რომ, დ[illegible] გაუკეთებულ კლიმატურსა და [illegible] ლოგიურ პირობებში მაღალხარისხოვანი მინერალური და ჩვეულებრივი მტკნარი (წყაროს) წყლებიც კი ინტენსიური ბიზნესის საგნად იქცა. მაგალითად, დასავლეთში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში საშუალოდ 200 ლიტრამდე მინერალური და სუფრის წყალი მოდის. ჩვენში? სათქმელადაც კი არ ღირს: თბილისში ის მაჩვენებელი 40-ია, რესპუბლიკაში — 28, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი 4-5 ლიტრს ვერ ასცილებია.

კითხვა: ეს რით აიხსნება?

პასუხი: მიზეზი ბევრია! მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უხვადაა დაჯილდოებული როგორც სხვადასხვა ბუნებრივი სიმდიდრით, ასევე ასობით ძვირფასი მინერალური წყლის რესურსით, დღესდღეობით ჩამომსხმელი ქარხნებისაგან ექსპლუატირებულია მხოლოდ და მხოლოდ 24 წყარო და ჭაბურღილი. იქიდანაც მარტო „ბორჯომისა“ და „საირმეს“ რესურსებია ათვისებული მთლიანად. გარდა ამისა, ჩამომსხმელი ქარხნების აღჭურვილობა და ხაზები საკმაოდ მოძველებულია. ამას ემატება ბოთლების სმაცირე, შრომისა და მომსახურების მოუქნელი ორგანიზაცია და ბევრი სხვა.

კითხვა: ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აქვს თუ არა აზრი ახალ-ახალი ბუდობების ძიება-აღმოჩენას და მათ ჩამოსხმაზე ფიქრს?

პასუხი: რა თქმა უნდა! ძიება გრძელდება და მომავალშიაც გაგრძელდება! მაგალითად, ამჟამად მიმდინარეობს მარაგების დადგენა ბორჯომის მიდამოებში, ციხისჯვართან და სენაკის რაიონში — სახარბედიოში, სადაც წინასწარი მონაცემებით სამკურნალო და სუფრის წყლების სადღეღამისო მარაგი 1000 კუბმეტრს აღემატება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფასანაურ-ყაზბეგის სანახებში (მაკარტა, კობი, ფანშეტი, ყაზბეგი) აღმოჩენილი მინერალური წყლების უდიდესი მარაგები, რომლებიც თავიანთი თვისებებით საუკეთესოა და მიზანშეწონილია მათი ექსპორტირება.

კითხვა: როგორია უცხოეთის ფირმებთან თანამშრომლობისა და ქართული მინერალური წყლების საზღვარგარეთ მასშტაბური ექსპორტის პერსპექტივები?

პასუხი: განსაკუთრებული ბიოლოგიური მნიშვნელობის მინერალური, სამკურნალო და სუფრის წყლების მარაგითა და ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული მაღალხარისხოვანი უალკოჰოლო სასმელების წარმოებით საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. სწორედ ამით აიხსნება კაპიტალისტური ქვეყნების მრავალი ფირმის დაუოკებელი სურვილი — ვითანამშრომლოთ, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები! ამ ფირმებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელო „კლივლენდ ექსპორტი“ და „ინტერნეიშნელ-კაპიტალ ინკორპორეიტედი“ (აშშ), „ტანიერ კოპსალტინგი“ და „რეიშ ი პარტნიორ ინტერნეიშნელ კონსოლტე“ (გფრ), „ვინიციკ გმბხ“ „ლაი-ტეკი“ (ავსტრია), „მიცუი ი კო, ლტდ“ (იაპონია) და სხვები. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ხელმოწერილია ურთიერთშეთანხმების ოქმები, მაგრამ პრაქტიკულად საქმე მაინც ნელა მიიწევს წინ...

კითხვა: რატომ?

პასუხი: მიზეზი ბევრია — მე მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე მათგანს დავასახელებ. საქართველოს მინერალური წყლები თავისთავად საუკეთესო თვისებისაა, მაგრამ მზა პროდუქციას არ უვარგოდა მდგრადობა. დაე, თვით მკითხველმა განსაჯოს: ჩამოსხმული წყლის ვარგისიანობის ხანგრძლივობა კონსერვატის გარეშე შეადგენდა 7, ხოლო კონსერვატით 30 დღე-ღამეს. უცხოეთის არც ერთი ფირმა კი ამ და მსგავსი სახის პროდუქციას არ იყიდის, თუ მისი მდგრადობა ექვს თვეზე ნაკლები იქნება. საჭიროა კომენტარი? ბოლო დროს ჩვენმა ფირმამ შეიმუშავა ისეთი ტექნოლოგიური მეთოდები, რომლებიც ყოველგვარი კონსერვატის გარეშე შვიდ თვემდე ზრდიან პროდუქციის მდგრადობას.

ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიზაინს. დღეს ყოვლად წარმოუდგენელია საექსპორტო პროდუქცია შესაბამისი ეტიკეტის გარეშე. სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენთან ჩამოყალიბდა ასეთი ტრადიცია: საწარმო უშვებს ერთი და იგივე პროდუქციის ორ სახეობას — საექსპორტოს და შიდა ბაზრისთვის. როგორ, განა ჩვენს მომხმარებელს კი აწყენდა მაღალხარისხოვანი და გემოვნებით გაფორმებული პროდუქცია?! სხვათაშორის, ასეთ საძრახის პრაქტიკას ვერც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ვერ შეხვდებით: საშინაო და საგარეო ბაზარზეც ერთი და იგივე ნაწარმი ტრიალებს... ერთი სიტყვით, ეტიკეტის პრობლემაც მოვაგვარეთ, და ალბათ, ახლო მომავალში შესაძლებლობა გვექნება მოვსპოთ ასეთი განსხვავება.

საქართველოს მინერალური წყლების ექსპორტი აღმავლობის გზას რომ დაადგეს, საჭიროა აშენდეს ერთი ექსპერიმენტული ქარხანა, სადაც შემუშავდება ახალი ტექნოლოგიები. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, რესურსებით მდიდარ რესპუბლიკაში დღემდე არა გვაქვს მინერალური წყლების ლაბორატორია! ამიტომ იძულებულნი ვართ, რომ უცხოეთის დაინტერესებული ფირმების წარმომადგენლებს წარვუდგინოთ არა ამა თუ იმ მინერალური წყლის მზა ანალიზი, არამედ საქართველოს მთა-ბარში ვახეტიალოთ და უშუალოდ თვით ბუდობები ვაჩვენოთ. ცხადია, ასეთი მამაპაპური გზითა და წესით შორს ვერ წავალთ. ამიტომ ამ საექსპერიმენტო ქარხანას, რომელიც ახლა ვახსენეთ, უნდა ჰქონდეს ჩვენი ყველა მინერალური წყლის ზუსტი ანალიზი. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს, დავაჩქაროთ და გავზარდოთ პროდუქციის ექსპორტი. თუმცა საზღვარგარეთ ექსპორტსაც რომ თავი დავანებოთ, ფაქტიურად აუთვისებელია როგორც თვით რესპუბლიკის, ისე საკავშირო ვრცელი ბაზარი. არადა, ძალიან მრავალფეროვანი და მდიდარი რესურსები გაგვაჩნია. მინერალური წყლების გარდა სრულიად შეუსწავლელი და აუთვისებელია მტკნარი წყლები, მთის ანკარა მდინარეები, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში.

ასევე დიდი მასშტაბით შეიძლებოდა ლაღიძის წყლის ექსპორტირებაც. დღეისათვის რესპუბლიკაში მისი ჩამოსხმა არ აღემატება 9 მილიონ დეკალიტრს. თავისუფლად შეიძლებოდა წარმოების გაფართოება და ექსპორტი, მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა წინააღმდეგობა: არა გვყოფნის ბოთლი! დღეისათვის მთელ კავშირში მინის ტარის დეფიციტია. არც საჭირო მეტალი გაგვაჩნია, რომ უცხოელთა მსგავსად ჩვენც თუნუქის ქილებში ჩამოვასხათ პროდუქცია. ამიტომ სანამ ამ საკითხებს მოვაგვარებდეთ, მანამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოეთის ფირმებთან თანამშრომლობას და შერეული საწარმოების შექმნას, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ჩვენი წყლების ჩამოსხმა. მაგალითად, ახლო მომავალში ავსტრალიის ერთ-ერთ ფირმასთან ერთად ქალაქ სინგაპურში ჩამოვასხამთ ლაღიძის წყალს.

გამოთვლა გვიჩვენებს, რომ მინერალური წყლების, უალკოჰოლო სასმელებისა და მათი ნახევარფაბრიკატების სისტემატიური ექსპორტი რესპუბლიკის ბიუჯეტს ყოველწლიურად დაახლოებით 150-200 მილიონ თავისუფალკონვერტირებულ მანეთს შესძენს.

ერთი სიტყვით, დღეს, როცა რესპუბლიკა თვითონ გადის საგარეო ვაჭრობის ორბიტაზე, პერსპექტივებიც თანდათან ფართო ისახება. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ახლახან შექმნილი აგროიმპექსი (აგრომრეწველობის იმპორტ-ექსპორტი), რომელიც შუამავალი ორგანიზაციაა მრეწველობასა და მყიდველს შორის.

— თუ შეიძლება, მკითხველებს მოკლედ უამბეთ თქვენი ფირმის უფლებებსა და ამოცანებზე.

პასუხი: ფირმის შემადგენლობაში შევიდნენ მინერალური წყლების, უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის მრეწველობის საწარმოები სამეურნეო დამოუკიდებლობისა და იურიდიული პირის უფლების შენარჩუნებით.

ჩვენი მიზანია, საქმიანი კავშირი დავამყაროთ უცხოეთის ფირმებთან, აუცილებლობის შემთხვევაში საბჭოთა თუ უცხოური ვალუტით ავიღოთ სესხი. ასევე უშუალოდ ჩვენმა ფირმამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური პროგრამა საწარმოთა სპეციალიზაციისათვის საექსპორტო პროდუქციის გამოსაშვებად.

ფირმის შექმნა და მისი საქმიანობა საშუალებას მოგვცემს, მომავალში განვახორციელოთ ერთიანი გრძელვადიანი პროგრამა შემოსული სავალუტო სახსრების მაქსიმალურად გამოყენებით საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღებისა და სახაგრომრეწვის სისტემის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გასაფართოებლად; ასევე იმ პირველხარისხოვანი ამოცანის გადასაჭრელად, რომელიც დგას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე საექსპორტო მიწოდებათა გასადიდებლად.

ჯემალ მეხრიშვილი

ნოდარ წულეისკირი

ეფთარი

ეფთარი მას ხალხმა შეარქვა, ხალხში ერთ-ერთი „გავლის“ დროს დაუძახეს. „აფთარი მოდის, აფთარიო“, იყვირა ვილაცამ. იმ დღიდან მოყოლებული შეერქვა. „ხალხში გავლა“ ვარლამ არავიძემ შემოიღო პირველად არავის მხარეში.

შავი ემცხრების მწყობრს, რომელიც მუდამ თან ახლდა, გააჩერებდა შორიახლო, მოფარებულში. მარტო გადმოვიდოდა მანქანიდან და ხალხში გაერეოდა. ვარლამ არავიძეს, ხელმწიფის ტოლა კაცს, კვერცხის რიგში ხომ ვერ წარმოიდგენდნენ? ალბათ ჰგავს ვარლამ არავიძესო, ფიქრობდნენ და გულგრილად აუვლ-ჩაუვლიდნენ. როცა პირველმა ასეთმა გავლამ ათი ადამიანის დაპატიმრება გამოიწვია, მაშინ კი აფორიაქდნენ არაველები და შიშითა და ეჭვით შეპყრობილნი, ელოდნენ, კიდევ როდის გამოჩნდებოდა.

ვარლამ არავიძეს სულ არ სჭირდებოდა „ხალხში გასვლა-გავლა“. ამისთვის მან შექმნა საგანგებო სამსახური. ყოველ დაწესებულებაში, ყოველ საწარმოსა და საამქროშიც კი, ვიღაც ერთი მუშაკი „სიგნალებს“ აგროვებდა. ინფორმპუნქტი გააუქმა და სამაგიეროდ დასმენა საერთო სახალხო საქმედ აქცია. კარგი დამსმენი, მომავალი თანამდებობის პირი იყო. ადლიცა და მმართველობაშიც საგანგებო განყოფილებები იყო შექმნილი, სადაც მოწოდებული „ინფორმაციები“ და „სიგნალები“ მუშავდებოდა.

ვარლამ არავიძე სამსახურში დილით რომ მობრძანდებოდა, მოახსენებდნენ მხარეში არსებულ „ოპერატიულ ვითარებას“...

უფროსის კარიდან გამოუსვლელად მას შეეძლო სცოდნოდა, სად რა ხდებოდა მის საბრძანებლოში, მაგრამ ამ ცოდნას არ სჯერდებოდა, კვირაში ერთხელ უნდა გასულიყო ხალხში. არა მარტო ქალაქის დასათვალიერებლად გადიოდა, არამედ შორეულ რაიონებსა და სოფლებსაც კი ესტუმრებოდა. რაიონში „გასვლას“ საიდუმლოდ ინახავდა. ადგილობრივი ხელისუფლები ამ ამბავს მაინც იგებდნენ და მომზადებულნი ხვდებოდნენ. ვარლამს თავისი ხალხი მუშაობაში უნდა ენახა. თუნდაც ერთი ადამიანისთვის მოეკრა თვალი, ვისაც საქმე არ ჰქონდა, ხელმძღვანელობა სასტიკად ისჯებოდა. ამიტომ მისი ყოველი ჩასვლა რაიონში შიშის მომგვრელი იყო.

ვარლამ არავიძე ზოგჯერ სულ მთლად მოულოდნელად გადაწყვეტდა სოფლის მუშაკებთან შეხვედრას, მძღოლმაც კი არ იცოდა, სად მიდიოდა მისი პატრონი, იცოდა მხოლოდ პირადმა დაცვამ.

რაიონის, სოფლის ხელისუფალთ, სულერთია საიდან, მაინც უნდა გაეგოთ, რომ ვარლამ არავიძე მათთან ჩამოდიოდა და მომზადებულნი უნდა შეხვედროდნენ. რამდენი ჩაის ბუჩქი ჰქონდათ, იმდენი მკრეფავი უნდა გამოეყვანათ, რამდენი სიმინდის ღერი ხარობდა ყანაში, იმდენი მთხნელი ეშოვათ და, როცა ოჩაიეებს და სიმინდის ყანებს შავი ემცხრების წყებანი ჩაუვლიდნენ, „ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჩენს...“ უნდა ემღერათ...

პირველი უეცარი აფთარი

ერთი თავი რომანიდან „აფთარი“

მთელს არავის მხარეში ერთი ტრაქტორი დაუდიოდათ მინდვრებში, მაგრამ ამ ტრაქტორით, ანუ ხარკინით, როგორც მას ხალხი ეძახდა, ძალიან ამაყობდნენ. რაც მთავარია, თურმე ვარლამ არავიძეს უყვარდა ეს სიმღერა. გადმოვიდოდა მანქანიდან, გახედავდა ოჩაიეს, იდგა თურმე და ქალების სიმღერას ყურს უგდებდა.

ერთი ასეთი „გავლის“ დროს, არავის ერთ ვიწრო ქუჩაში მინავალან ია და სანდრო ხალდანები. ისინი ვარლამს შორიდან დაუნახავს, ემცხრა ახლოს გაუჩერებია და იას დაკვირვებია — ეს ხომ ის ქალია, მიტინგის დროს მოედანი რომ გადაჭრაო, უფიქრია თავისთვის, დოქსოპულოვიც იმ მანქანაში მჯდარა. მძღოლს წამით შეანელებინა მანქანა და ია ხალდანს თვალი ააყოლჩააყოლა.

ვარლამი სანდროსაც შეუმჩნევია, შეშინებულა, ცოლისთვის ხელი დაუკლია და გაქცეულან. ვარლამს არ მოსწონებია სანდრო ხალდანის გაქცევა. მხოლოდ ამის შემდეგ უბრძანებია დოქსოპულოვისთვის — გაიგეთ ვინ არიან და რატომ გაიქცნენო. დოქსოპულოვს იქვე მოუხსენებია: სანდრო ხალდანი ამ მხარეში ცნობილი მწერალია, ის ქალი — ია ხალდანი გახლავთ, მისი ცოლიო. ვარლამს დოქსოპულოვი თავის მანქანიდან ჩამოუსვამს და უბრძანებია, სასწრაფოდ შეეპყროთ გაქცეულნი და შეესწავლათ, ვინ იყვნენ, რას აკეთებდნენ, რითი ცხოვრობდნენ და რატომ გაიქცნენ...

თვითონ თავის საბრძანებლოში დაბრუნებულა და მსხვერპლს იქ დალოდებია.

ია და სანდრო ხალდანები გაქცეულანო, რომ ვთქვათ, ცოტაა. კი არ გაქცეულან, გამქრალან. თვით დოქსოპულოვი და რიკტაფელოვიც გაკვირვებულან ასე თვალსა და ხელს შუა სად დაგვეკარგნენო.

სანდრო ხალდანს სცოდნია თურმე ძველი არავ-ქალაქიდან საიდუმლო გასასვლელი. როცა მტერი ქალაქს ალყას შემოარტყამდა და საშველი არსაიდან იყო, მიწაში ჩასაძვრომი ხვრელებით შეიძლებოდა თურმე არავის ჭალაში გასვლა და იქიდან წყლის ამოტანა. იმ ხვრელში ჩამხტარან და იქიდან ქალაქგარეთ ხელად გასულან.

დოქსოპულოვმა და რიკტაფელოვმა იცოდნენ ამ ხვრელების არსებობაც, მაგრამ არ ეგონათ თუ სანდრო ხალდანი თავის ცოლს ამ ქვესკნელში ჩაიყვანდა! არ ადგათ ასეთი გასაჭირი, რატომ უნდა ჩამძვრალიყვნენ შავ ჯურღმულში? — ასე ფიქრობდნენ ისინი, თან არავის იმ უბანს, სადაც ია და სანდრო ხალდანები დაეკარგათ, ყირაზე აყენებდნენ. ეზოებში, ბინებშიც კი უვარდებოდნენ მობინადრეებს, საგანგებო ხაზებით უკავშირდებოდნენ ქალაქის ყველა საგუშაგოს და აფრთხილებდნენ ასეთი და ასეთი ცოლ-ქმარი დაეკავებინა.

დოქსოპულოვისა და რიკტაფელოვის მანქანები თითქმის მთელ არავში იყვნენ გაბნეულნი. როცა უფროსი თავის საბრძანებლოს სტოვებდა და ქვეყნად გამოდიოდა, რასაკვირველია, მთელი ქალაქი, მთელი არავის მხარე დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვის კაცებს ხელში უნდა ჰქონოდათ. იმ დღესაც ასე იყო, მთელი ქალაქი ხელთ ეპყრათ და „დამნაშავე“ თვალსა და ხელს შუა არ გაექცათ?! მიწა უნდა გაეხეთქათ და ეპოვათ ხალდანები, უკან, ვარლამ არავიძესთან, ხელცარიელნი ვერ დაბრუნდებოდნენ.

როცა დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი ქალაქში ჰირის ოფლში იწურებოდნენ, ია და სანდრო ხალდანები ქალაქიდან უკვე გასულები იყვნენ და მინდორში გარბოდნენ. უკან-უკან იყურებოდნენ, შავი მანქანები საცაა გამოჩნდებიანო, ფიქრობდნენ. თავშესაფარიც აღარსად იყო! რა ექნათ, ხან აქეთ მიაწყდებოდნენ, ხან იქით!..

შორს ერთი კაცი ხნავდა ამ თვალგადაუწვდენელ მინდორს და თავისთვის ღიღინებდა, ხარებს იშვიათად აუქნევდა სახრეს, რადგან ისინი ძალზე დამჯერნი, ჰატრონის ერთგულნი ჩანდნენ, ჭაპანს შეუძახებლად ეწეოდნენ.

სანდრო მხვნელისაკენ გაეშურა, რატომღაც იმედი გაუჩნდა. რა შეეძლო მხვნელს, მაგრამ მაინც მისკენ წავიდა ანგარიშმიუცემლად, იმას მაინც მეტყვის, ამ ტრიალ მინდორში საით გავიქცე, თავშესაფარი სად იპოვებაო...

— ვოოოო! — შეუძახა მხვნელმა ხარებს. — ხიი!.. ოო, ორე...

გუთნეული შეაყენა. შუბლიდან ოფლი მორკალული ხელით მოიწურა და აქოშინებულ ახალგაზრდებს გაკვირვებული შეაჩერდა.

— ბატონო, მოგვსდევენ!.. გვიშველეთ რამე!.. სადმე დაგვმალეთ, — მიაყარა სანდრომ ქოშინ-ქოშინით.

მხვნელმა სახრე გუთნის ხელნაზე მიაყუდა, ჩანდა, რომ არ ეჩქარებოდა, სათუთუნე ამოიღო და გულისგარეთ ჰკითხა მოსულს.

— ვინ მოგსდევთ?..

— დამჭირველები!..

მხვნელმა თავი გადააქნია და გვერდით გადგა.

— ისინი ახლა საცაა გამოჩნდებიან, — მიეშველა ქმარს ია.

— სად დაგმალოთ, ხალხო, — გაიოცა ბერიკაცმა, — ხომ ხედავთ, ერთი ხე არ დგას არსად, როგორ-ღა დაიმალებით?

— გზა მაინც გვასწავლეთ, საით გავიქცეთ, — შეევედრა სანდრო.

— რა გზა გასწავლოთ. ბავშვები ხომ არა ხართ. თუ დამჭირველები მოგსდევენ, ხომ იცით, მიწაში რომ ჩაძვრეთ, იქიდან ამოგიღებენ. თუ გნებავთ აგერ ამ მიწაში ჩაგმარხავთ, სხვა სამალავი არა მაქვს რა!..

— ჩქარა! — შეჰყვირა სანდრომ. მოეწონა ბერიკაცის აზრი და პირდაპირ კვალში ჩაწვა. იაც უმალ გვერდით მიუწვა.

— დაგვაყარე მიწა, — შეუძახა ბერიკაცს სანდრომ. — ეს ახლა მართლაც ერთადერთი გამოსავალია.

ბერიკაცი გაზეთის ქაღალდში გახვეული თუთუნის ფუილ-ფუილით სადღაც წავიდა და ბარი და თოხი მოიტანა.

— აქ დაგინახვენ, გზისპირია. აქეთ წამოდით!..

ნახნავის შუაგულისაკენ წაიყვანა. შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა. ყურადღებით შეათვალიერა გარემო, ვინმე ხომ არ გვიყურებსო და ორმოს თხრას ისე გულდაგულ შეუდგა, თითქოს მართლა სამარეს თხრიდა.

— ჩქარა! — აჩქარებდა სანდრო და თვითონაც თოხით ეხმარებოდა.

— თოხით არ გაითხრება, — უთხრა ბერიკაცმა. — გირჩევნია ჩემი ნათხარი ამოწმინდო.

— ამას მე ამოვწმინდავ. — ია ხელით შეუდგა ნაფხვენი მიწის ამოყრას.

— ოჰ, თქვენ არა, — იუარა ბერიკაცმა და იას რომ არ ემუშავა, ნაფხვენ მიწას ბარი ნიჩაბივით ამოუსვა, ხელათ ამოყარა ნათხარი მიწა ორმოდან.

სანდრომ ერთი ბარისპირის მეტი აღარ ამოათხრევინა ბერიკაცს, ვერ მოვასწრებთო, ჩაწვა ორმოში და ცოლიც გვერდით მოიწვინა. ბერიკაცმა მიწა ბლომად მიაყარა, მართლაც ჩამარხა მიწაში ორივე. მარტო თავები მოუჩანდათ.

ია ბავშვივით იყო ატაცებული, გლეხკაცმა ეს რა გონივრული რამ მოიფიქრაო. თუ არავიძის კაცები აქეთ გამოსწევდნენ, თავიანთი ემცხრებით შემოიჭრებოდნენ ამ მინდორშიც, მანქანის გზა ეგერ, ჰე, შორს გადიოდა. ვერ დაინახავდნენ ვერაფერს.

— გამჭრიახი გლეხკაცი შეგვხვდაო, — ეჩურჩულებოდა იას თავი სანდროს თავს.

— ნეტა რას აკეთებს, სად წავიდა? — იკითხა სანდროს თავმა. ისინი თავებსაც კი არ ანძრევდნენ, ეშინოდათ ამით რამე არ გაეფუჭებინათ.

— სადაც უნდა, იქ წავიდეს, მე ბევრი მიწა არ მაყრია, ჩემითაც კი წამოვდგები. შეენ?..

— იმიტომ კი არ ვკითხულობ, რომ ვერ ამოვალთ „სამარიდან“. ხვნა უნდა განაგრძოს, ეჭვი არავინ არაფერში შეიტანოს.

თითქოს სანდროს ფიქრებს უპასუხაო, ბერიკაცის ჯავრობა გარკვევით გაისმა მინდორში:

— კვალში-მეთქი შე, სამგლევ, შენა. — ბერიკაცი ხარს უჯავრდებოდა. სანდროს გაუხარდა.

— გაიგონე? — ჰკითხა იას. — ხნავს... აი, ასე, სპექტაკლი დადგმულია! მობრძანდით, ბატონო ვარლამ და იხილეთ თქვენი თვალით. ტრიალ მინდორში გლეხკაცი ხნავს მიწას, მეტი აქ არაფერი ხდება.

— ეგებ არ მოგვსდევდნენ და ჩვენ ტყუილუბრალოდ დავფრთხით, — თქვა იას თავმა.

— არ მოგვსდევენ? ჩჩჩუუუ... უკვე შესმის მანქანების ხმა. შენ არ გესმის?..

— ჩიტი უსტვენს სადღაც. სხვა ხმა მე არ მესმის.

— ვარლამ არავიძემ თვალი თუ დაგადგა, მორჩა. დიდაცების ცოლები თურმე უკვე თავისი ფეხით მიდიან მასთან. შენ კიდევ ჩიტის სტვენა გესმის!.. ახლა ეს რა ხმაა!.. გესმის ახლა?..

— უიმე, მართლა მანქანებია, თავის წამოწევა სცადა იამ.

— არ გაინძრე, — უბრძანა სანდრომ.

— ეგებ გამვლელი მანქანებია, — შიშისაგან მთლად დაელია ხმა იას.

— ჩჩჩ...

მოეჩვენათ, რომ მანქანები ძალიან ახლოს გაჩერდნენ. მანქანის კარმა გაირაჯგუნა, ფეხის ხმაც კი შემოესმათ. „ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან“, — გაიფიქრა სანდრომ. „ვისი ფეხის ხმაა?“ — გაიფიქრა იამ.

— ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან, — დაიჩურჩულა ზეცას მიჩერებულმა სანდროს თავმა.

— ვოოო, ხიი, მოო, — გაისმა ბერიკაცის ხმა.

— აქეთ ვინმეს ხომ არ გამოუვლია? — შორიდან კითხულობდა მანქანიდან გადმოსული, ნახნავში შესვლა შეეზარა.

— ნწუ, არა. არავინ მინახავს, — გაისმა პასუხად.

— დღის ბოლომდე ამ გზაზე ვინც გავლის, ჩაიწერე. ხომ იცი, სადაც უნდა დარეკო...

— ვიცი.

ძრავები ამუშავდნენ, მანქანები წავიდნენ.

— გადავრჩით, — თქვა იას თავმა.

— ჩჩჩ... ეს რა ამბავია? — იკითხა სანდროს თავმა და გაილურსა. შარიშური და ფართხუნი შემოესმათ. მანქანები წავიდნენ თუ არა, ეს შარიშური და ფართხუნიც თითქოს მათ მიჰყვაო, მანქანების ხმას გაედევნა. „რა უნდა იყოს?.. „ფიქრობდა სანდრო.

— გლეხკაცი ალბათ ჩვენთან მორბის, — ახსნა იამ.

— პირიქით ხომ არ არის? — ჩვენგან გარბის, — თქვა სანდრომ.

„სად გაიქცა...“ ფიქრობდა სანდრო.

„ნეტა სად გაიქცა...“ ფიქრობდა ია.

დაეჭვებულნი ფიქრობდნენ.

მანქანიდან გადმოსულმა როცა ბერიკაცს მკაცრი კილოთი უთხრა, ხომ იცი, სადაც უნდა დარეკოვო, იცოდა, რაღა თქმა უნდა!.. გაფრთხილებაც აღარ სჭირდებოდა, ამბის არმიტანისათვის ციხე ელოდა, არავის მხარეში ასეთი კანონი კარგა ხანია მოქმედებდა. კანონს გლეხკაცი ვერ გადავიდოდა. შეატყობინებდა სადაც ჯერ არს. ამასობაში მიწაში ჩამარხულნიც გავიდოდნენ სამშვიდობოს... ასე ფიქრობდა ბერიკაცი იმ წამებში, როცა მანქანიდან გადმოსულ დამჭირველს უთხრა: ნწუ, არაო. მანქანები რომ დაიძრნენ, ბერიკაცმა მანქანაში მსხდომ დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს მოჰკრა თვალი. გააცივა. კანზე თუ სადმე ბუსუსი ესხა, აებურძგლა. მუხლებმა დაუწყეს კანკალი. უმალ მიიღო გადაწყვეტილება, ახლავე, ამ წუთას უნდა მიეტანა „დანოსი“. მას უკვე ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, დამჭირველებს გამოქცეულები მიწაში ჩამარხა, უნდა გამოესყიდა! გამიგებენ, ამათ ხომ არაფერი დაემალება, მერე გვიან იქნებაო, — ადგილს მოწყდა და მანქანებს გამოუდგა.

საიდან გაიგებდნენ რომ მაინცდამაინც მხვნელმა ბერიკაცმა ჩამარხა მიწაში დამნაშავენი? ხვალ და ზეგ უსათუოდ შეიპყრობდნენ მიწაში ჩამარხულებს, პირველი დაკითხვისთანავე, სწორედ ისინი გათქვამდნენ ბერიკაცს. თუ არ იტყოდნენ, ათქმევინებდნენ. დამჭირველები უკან მოგსდევდნენ, შენ, თვალსა და ხელს შუა დაეკარგე, სად იყავო. ამას კი არა, რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი, პროფესორებს აწერინებდნენ — მე პროფესორი არა ვარ, პირუტყვი ვარ, ოთხფეხზე დავდივარო.

ხოლო თუ ჩვენებაში ერთხელ მაინც ვინმე გახსენებდა, შუაღამისას მოგიკაკუნებდნენ კარზე.

— ბერიკაცო. შენ მიწაში ჩამარხე დამნაშავენი, — ყურში ჩაესმოდა დოქსოპულოვის ხმა, — ამით ხელი შეუწყე მაგოგის ქვეყნის დასუსტებას, — ე. ი. ეწევი ძირგამომთხრელ მუშაობას, ხოლო აქედან გამომდინარე სამშობლოს მოღალატე ხარ!

გარბოდა და ხმა ყურში ჩასწიოდა. ნახნავებში გარბოდა, მანქანებს გზას მოუჭრი, წინ დავხვდებიო. დამჭირველებმა უკან გამოდევნებული მოხუცი შეამჩნიეს და ჯერ ერთი მანქანა გაჩერდა, შემდეგ მეორე, მესამე. ბერიკაციც ჯერ ერთ მანქანასთან მივარდა, შემდეგ მეორესთან, მესამესთან, რიკტაფელოვსა და დოქსოპულოვს ეძებდა. ორივენი [illegible] მანქანაში ისხდნენ. ბერიკაცი [illegible] კარს მივარდა და სახელურს [illegible] გაღება უნდოდა. ფიქრობდა, უფროსებს ფეხებს დავუკოცნი და პატიებას ვთხოვო. დოქსოპულოვ-რიკტაფელოვის მანქანების კარები სხვა მანქანათა კარების დარად არ იღებოდა. თითქოს იცის ბერიკაცმა, რაც უნდა უთხრასო, დოქსოპულოვმა თავი გამოჰყო მანქანის სარკმლიდან და მიუგდო:

— თქვი!..

ბერიკაცი ხელზე წაეტანა. კოცნა მოუნდომა. დოქსოპულოვმა ხელი არ დაანება. დამალა.

— დავიღუპე, დავიღუპე, მაპატიეთ, — საბერველივით ქშენავდა ბერიკაცი და დოქსოპულოვის ხელმონაკიდებ მანქანის სარკმელს კოცნიდა. — მანქანები... რომ... დაიძრა მაშინ... დაგინახეთ... არ მეგ... ონა, თუ... თქვენი ხალხი... იყო... თქვენებს უარს როგორ ვეტყოდი, — ხარბენი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებსა და წინადადებებს.

— თქვი ჩქარა, არ გვცალია, — შეუღრინა დოქსოპულოვმა.

— წამობრძანდით, ვიცი სადაც არიან, — უთხრა ბერიკაცმა.

დამჭირველები მანქანებიდან გადმოსულიყვნენ, ბერიკაცსაც უკვე გარს შემორტყმოდნენ. ბრძანებას ელოდებოდნენ.

— ჩასვით მანქანაში და წამოიყვანეთ! — გაისმა ბრძანებაც. ბერიკაცი ჩასვეს და მანქანები უკან გაბრუნდნენ. ბერიკაცმა მანქანები გზის პირას გააჩერებინა, რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი თავისი თანამშრომლებიანად ნახნავებში შეიყვანა და მიწაში ჩამარხულებისაკენ გაემართა. თვით მრავლისმნახველი რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი გაოცდნენ, როცა მიწაში ჩამარხულ იასა და სანდროს თავებს წამოადგნენ.

— რა გქვია, ბერიკაცო? — ამოსძახა მოულოდნელად სანდროს თავმა მიწიდან. სახტად დარჩა არამარტო ბერიკაცი, არამედ ყველა იქ დამსწრე. უადგილო შეკითხვა იყო. თავის მართლების ნაცვლად, დანაშავე დამსმენის ვინაობას იძიებდა? აღშფოთდნენ რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი, ერთმანეთს გადახედეს.

— ღვთისავარი, — უნებურად მიუგო ბერიკაცმა.

— ღვთისა კი არა, ეშმაკისა ყოფილხარ, — დინჯად უთხრა სანდრომ. — რა გვარისა ხარ?

— რა შენი საქმეა, რა გვარისა ვარ, — ახლა კი აჭაჭყანდა ღვთისავარი. — შემაცდინე, ავი საქმე ჩამადენინე. „რა გვარისა ხარ“... შენ თუ კაი კაცი ხარ, ჩემს სახელსა და გვარს კი ნუ დაეძებ, ადექი მანდედან და პასუხი აგე!..

სანდრომ ჯერ ცალი ხელი გამოჰყო ნაყარი მიწიდან, შემდეგ მეორე ხელი. მკერდიდან ბელტები გადაიგორა და წამოჯდა. ცოლს მიეშველა მიწის გადაყრაში. ისიც წამოაყენა. სამოსის ბერტყვა-ბერტყვით წამოდგნენ. დამჭირველები იქით-აქით ამოუდგნენ. დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს კრინტი არ დაუძრავთ. უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო. გატრიალდნენ და წავიდნენ მანქანისაკენ. ია და სანდრო მათ უკან მიჰყვნენ, გასაკვირი ის იყო, რომ პატიმრებივით ზურგზე ხელები დაიწყვეს, თუმცა არავის უთქვამს, დაპატიმრებული ხართო.

ᲡᲐᲓ ᲕᲘᲞᲝᲕᲝᲗ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ?

ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡᲚ, ᲠᲐᲭᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲮᲘᲮᲐ ᲛᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲝᲮᲣᲔᲗᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ. ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲔᲜᲘ, ᲙᲚᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲐᲤᲔᲑᲘ, ᲐᲚᲞᲣᲠᲘ ᲡᲔᲠᲔᲑᲘ, ᲣᲦᲠᲐᲜᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ, ᲐᲜᲙᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ, ᲛᲗᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ... ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲔᲡᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲒᲐᲜᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲗᲘᲗᲝᲛᲦᲛᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲡᲐᲙᲘ, ᲐᲕᲘᲪ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲪ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑ: ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ ᲓᲐᲐᲠᲘᲡᲓᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲐᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲫᲠᲬᲣᲜᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲫᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲗᲮᲠᲐᲛ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ: ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ 1820 ᲬᲚᲘᲡ „ᲪᲔᲠᲙᲝᲕᲜᲘ ᲑᲣᲜᲢᲘᲡ“ ᲐᲜᲣ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ — 21 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲰᲓᲐᲠᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲪᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ... ᲐᲛ ᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲔᲪᲐ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲐᲯᲐᲜ-ᲧᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲫᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲗᲮᲠᲐᲛ.

ᲘᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ

ᲧᲔ. ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲓᲐ ᲪᲐᲠᲘᲖᲛᲘ ᲒᲣᲠᲘᲐᲡ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲭᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ, ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ, ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲫᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲤᲔᲜᲘᲚᲘ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲤᲐᲠᲐᲕᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲐᲚᲘ. ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ, ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲥ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲥᲕᲔᲐ ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ-ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲗ ᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ. 1820 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲙᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲓᲒᲐᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ. ᲘᲥᲜᲔᲑ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲮᲘᲠᲝᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲡ ᲜᲘᲠᲒᲛᲐ, ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲓᲔᲡ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲒᲣᲚᲘ, ᲐᲡᲔ ᲫᲐᲚᲣᲛᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲤᲝᲗᲥᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲗᲐᲜ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ... ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲘᲒᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ 1503 ᲬᲔᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲛᲔᲠᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ. ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘᲪ, ᲛᲙᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲘᲐ. ᲤᲣᲢᲣ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲐᲓ ᲮᲕᲠᲔᲚᲡ, ᲤᲣᲦᲣᲠᲝᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲪᲐᲠᲪᲣᲚᲘ ᲙᲘᲠᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ ᲙᲐᲠᲡᲢᲣᲚᲘ ᲮᲕᲠᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲦᲣᲠᲝᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲘᲡᲬᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲢᲝᲞᲝᲜᲘᲛᲔᲑᲘᲪ: ᲮᲝᲚᲔᲕᲘ, ᲮᲣᲨᲐᲣᲠᲘ, ᲖᲐᲭᲝᲠᲘᲐ, ᲙᲕᲐᲠᲮᲐᲚᲘ, ᲙᲝᲭᲔᲑᲘ, ᲜᲐᲛᲣᲠᲣᲛᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ.

1930 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲨᲘ ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲐᲛᲓᲔ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲗᲘᲗᲝ ᲙᲝᲛᲚᲡ ᲐᲗᲝᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲘᲠᲣᲢᲣᲧᲕᲐ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲮᲐᲠᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲕᲘᲗᲘ ᲯᲘᲨᲘᲑᲘ, ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ, ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ, ᲛᲔᲮᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲣᲢᲙᲠᲔᲝᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲓᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲡ ᲒᲐᲕᲘᲗ ᲤᲣᲢᲘᲔᲗᲘ... ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ — ᲐᲜᲢᲝᲜ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ, ᲓᲣᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲮᲣᲪᲡᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲕᲚᲘ ᲤᲔᲮᲡ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ. ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲨᲔᲐᲫᲣᲚᲔᲡ. ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲔᲠᲩᲘᲐ. ᲘᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲬᲐᲠᲗᲛᲔᲕ, ᲠᲐᲦᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲬᲐᲛᲝ. ᲛᲘᲬᲐ ᲬᲐᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕ, ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕ... ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ, ᲐᲑᲐ ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲮᲚᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲩᲕᲘᲕᲜᲔᲡ, ᲕᲘᲜ ᲨᲔᲡᲘᲫᲚᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲘᲠᲐ ᲰᲥᲜᲓᲐ... ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲣᲰᲐᲢᲘᲕᲘᲪᲔᲛᲣᲚᲝᲑᲐᲛ ᲥᲜᲐ ᲛᲐᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ ᲐᲠ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲕᲚᲘ ᲤᲔᲮᲡ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ. ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲛᲠᲝᲑᲐ, ᲗᲣ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲕᲪᲔᲛᲗ ᲔᲠᲗᲘᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲥᲝᲜᲘᲝᲗ: ᲛᲝᲓᲗᲘᲗ, ᲒᲐᲕᲣᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ.

Ხ. Ნ. ᲩᲔᲠᲜᲘᲐᲙᲝᲕᲐ,
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ, ᲡᲙᲙᲐ ᲬᲔᲕᲠᲘ
1953 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲕᲣᲒᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ

ᲠᲣᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲑᲐᲜᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲒᲐᲕᲘᲪᲓᲘ ᲓᲐ, ᲐᲮᲚ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲒᲘᲥᲕᲐᲛ.

ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲓᲜᲔᲡ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲮᲔᲠᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲩᲐᲛᲝᲮᲣᲚᲘ. ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲠᲐᲒᲘᲜᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲨᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲔᲡ, ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲛᲠᲝᲑᲐ, ᲗᲣ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲕᲪᲔᲛᲗ ᲔᲠᲗᲘᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲘᲡ.

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲕᲘᲥᲝᲜᲘᲝᲗ: ᲛᲝᲓᲗᲘᲗ, ᲒᲐᲕᲣᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ.

ᲗᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ

ნინო ხოფერია



გალაკტიონ ტაბიძის ჩანახატების გაიოფფენა, რომელიც საქართველოს ბიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო, პოეტის მდიდარი და მრავალფეროვანი არქივის ცალკეული ფრაგმენტებია. საექსპოზიციოდ წარმოდგენილი ხელნაწერები, მემორიალური ნივთები და უბის წიგნაკები კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ ლიტერატურის მუზეუმის, როგორც უნიკალური განძთსაცავის მნიშვნელობას და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების რთულ და წინააღმდეგობრივ სამყაროს.

ვეიზაჟი, პორტრეტი. სულის მოძრაობა გალაკტიონ ტაბიძისათვის. უპირველეს ყოვლისა, მორფოლოგიური აღწერის კატეგორიები გახლავთ და სიტყვათა შეთანხმება: „საღამო იწვა ხავერდის ყდაში“, „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“ თუ „სამშობლო შავი ლიუციფერის“ ობიექტურად არ აიხსნება. პოეტისეული ქვეტექსტი ჩვენთვის მიუწვდომელია და მკითხველის წარმოსახვას არის მინდობილი.

...„შეხედეთ, როგორი სისწრაფით ეცემიან ტახტები... თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო, შესძლებთ თუ არა განიცადოთ ეს ყოველივე“ — გალაკტიონმა თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში, ასეთი ამაღლებული პათოსით შენიღბა მარტოობა, თანამედროვეობასთან გაუცხოების შიში და ადამიანური უმწეობა...

„აშკარად ვგრძნობ... ჩემს უთვისტომობას, მარტოობას“ — ჩაინიშნა შემდეგ უბის წიგნაკში.

იგივე უბის წიგნაკებში ჩაუხატავს საკანი შუბლში, ნიღბები, ეშმაკები, წაშლილი თვალები, აბსტრაქციები, ავადმყოფური სახეები, წაქცეული ხე, ფესვგამდგარი ხე, გროტესკული პროფილები, ჯვარცმა, ფრთებიანი ავტოპორტრეტი სათაურით: „საქანელა ტრიოლეტებით“...

გალაკტიონის უამრავ ხელნაწერს ახლავს ჩანახატი, მაგრამ ის არ არის ლექსის სიუჟეტური ქარგის ან განწყობილების გრაფიკული გამოსახულება. პირიქით, იგი აბსოლუტურად საპირისპირო ემოციებსა თუ ასოციაციებს ბადებს და არც ერთი ნიშნის მიხედვით არ შეიძლება ილუსტრაცია ეწოდოს.

ჩვენ წინაშეა „მერის“ ვარიანტები. უზუსტესი გუმანით სრულყოფს ლექსს გალაკტიონი.

პირველი ვარიანტი:

შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, ჩემო
მშვენიერო მერი,
ვინ აღწეროს შენი სახის მაშინდელი
ელვა, ფერი.
ვინ ასახოს მისი იმ ჟამს უცხო
კრთომა და იერი,
მაინც ტურფა, მაინც სათნო და
უზომოდ მშვენიერი...

თექვსმეტმარცვლიანი საზომი შემდეგ თორმეტმარცვლიანით იცვლება:

„შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, მშვენიერო მერი“...

და ბოლოს ათმარცვლიანი საზომით გამართული ვირტუოზულად კონცენტრირებული სტრიქონები:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა.
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა...

ამავე ხელნაწერზე მიხატულია მწოლიარე კაცის კარიკატურა. უფრო ქვემოთ კი ორი ასევე კარიკატურული პორტრეტი...

აი, ხელნაწერი ლექსისა „ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს“.

სტრიქონებს ქვეშ „ესაფეხუროს ლალის ტატნობი“ ორი გროტესკული სახეა. აქედან ერთი თმაგაცვენილი მაწანწალაა.

ერთგან ვკითხულობთ:

პოეტი მიჰყვეს, მიჰყვეს
სასახლესა და ქუჩას,
თუ ტაშისცემა ბრიყვის
დიდ დაფასებად უჩანს,

იქვე ხატია გიტარა, გასაღები, თარიღი „9 იანვარი, 1948“ და ვალების სია, რომელსაც იქვე აჯამებს.

ერთ ხელნაწერშია:

მე ვადღეგრძელებ საქართველოს
სავსე ყანწებით,
მე ვადღეგრძელებ...

უფრო ქვემოთ:

რა ბედნიერი ვარ მამულო,
რა ბედნიერი,
რომ შენი ცის ქვეშ, შენს მიწაზე
ისევ დავბრუნდი“...

მიხატულია ავტოპორტრეტი იმიტაციური ბორკილით და გვირაბიდან გამომზირალი პირმრგვალი სახე...

და ასე, გამონაკლისის გარეშე, გრძელდება კონტრასტები გალაკტიონის ლექსსა და მის ჩანახატს შორის.

გალაკტიონ ტაბიძე არ ცდილობს ნახატის სრულყოფას, რაფინირებას. ზოგადი, ხშირად ძალიან ოსტატური, მონახაზითაც კმაყოფილდება. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლექსზე მუშაობის დროს მას სჭირდებოდა იმ განწყობილებიდან სრულიად ამოვარდნილი საგნის ხატვა. რატომ? მართლაც „ისე ცოტაა გასაგებელი“ ....„მე მინდა ვწერო საგანზე და საგნის გარშემო და არა იმიტომ რომ უბრალოდ ვწერო“. — წერს გალაკტიონი. ალბათ ხატვა სცილდება მისი მთავარი „საგნის“ სამყაროს.

გალაკტიონის ჩანახატები რაღაცით ჰგავს პოეტისავე ჩანაწერებს უბის წიგნაკებში, სადაც სუფევს ქაოსი, უსისტემობა, ეჭვები, ხშირად არის სხვათა განკითხვა.ძალიან იშვიათად კი — სიმშვიდე და ჰარმონია.

იქნებ ეს ჩანახატები და ჩანაწერები პოეტის, ერთგვარი ინდივიდუალური ჯვარა მეტრი — ნობისაკენ. გზა, [illegible] დელი მის უმთავრეს საგნამდე, უკანასკნელ თავშესაფრამდე — პოეზიამდე.

ჩანახატები, რომელიც სავსეა გროტესკით, ტრაგიზმით, კონკრეტულობით (რაც გალაკტიონის პოეზიისაგან არსებითად განსხვავებული სამყაროა) ნაწილობრივ ეხმაურება გალაკტიონ ტაბიძის გაორების ცნობილ ფორმულას, რაც საკუთარ დღიურში ასე გამოხატა პოეტმა: „ბრძოლა „გალაკტიონს“ და „გალაკტიონს“ შორის. რით გათავდება ეს ომი“...

ერთგან კკითხულობთ: „უნდა დავწერო წერილი „მე, როგორც პიროვნება“. შიგადაშიგ ნახსენები იქნება მხოლოდ ნერვები“...

უდიდესი სულიერი დაძაბულობის, ვალების, ეჭვების, ყოველდღიურობის ჭუჭყის დანახვითა და გვერდის ავლით მიიკვლევს გზას გალაკტიონი კათარზისამდე. ეს ერთადერთი კათარზისი მისთვის მხოლოდ პოეზიაა და უნებურად გვაგონდება ანა ახმატოვას სტრიქონები: „ნეტავ იცოდეთ, რა ჭუჭყისგან იშვება ლექსი“...

დავუბრუნდეთ ისევ გალაკტიონის მიერ დახატულ ჯვარცმის კლასიკურ სიუჟეტს, რომელსაც თან ახლავს პროზაული ჩანაწერი: „ყურს გვიგდებენ მიცვალებულნი დიდხანს. ძვირფას საფლავებს ერთვით ძილი, მაგრამ ჩვენ უნდა აღვადგინოთ მათი დიდება. ვიფიქროთ იმ ხალხზე, რომლებიც აშენებდნენ ამ კედლებს, ამ სამრეკლოებს; იმ ხალხზე, მე-19 საუკუნეში რომ დაასაფლავეს. მათზე, რომელნიც ყოველთვის გაგახსენდებიან, როცა წამების ჯვარს დაინახავ. დაინახავ იმ მორწმუნეებს, რომელთაც თავი დასდეს, რომელნიც მღვდელმსახურებას ასრულებდნენ თავიანთ სალოცავ ტაძარში და მთრთოლვარე ხელით ანთებდნენ სანთლებს მშვენიერების წინ. ვიფიქროთ მათ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე.ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებენ განწირულნი, დავიწყებულნი...

ჩემი სული იღვიძებს და მზად არის ისევ აანთოს დაფარული სიამაყის სანთლები“...

მუდამ ახალი და მოულოდნელი გზით გამოგვეცხადება ჩვენ „სული შეშლილი და ბედნიერი“.

პოეზიით მინიჭებული „სიამაყის სანთლების“ გამო უხილავია მისეული წამებისა და ტანჯვის ლაბირინთები. „ყველასთვის უცხო და ბნელ ქარაგმის“, მარადი წვალების გამოხატულებაა გალაკტიონის ჩანახატები, მისი აფორიაქებული სულის წუთიერი ნავთსაყუდელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გალაკტიონის ჩანახატები







გალაკტიონის ჩანახატები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გალაკტიონის ჩანახატები





გრიგოლ რობაქიძე

ჯელავ ფიროსმანს და ბუჯერა საჭიროვილი

გრიგოლ რობაქიძე 1945 წლიდან ცხოვრობდა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. მას 16 წლის განმავლობაში კონტაქტები ჰქონდა დამყარებული პარიზული ქართველოლოგიურ ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქციასთან, კალისტრატე და ნინო სალიები რომ ხელმძღვანელობდნენ. ჟენევიდან უგზავნიდა რედაქციას სტატიებსა და რეცენზიებს ქართული კულტურის საკითხებზე. მწერალს ნ. ფიროსმანაშვილის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნული ჟურნალის 1953 წლის მეთხუთმეტე ნომერში დაუბეჭდავს სტატია, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს მხატვარს. ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველ მკითხველს გავაცნოთ გრიგოლ რობაქიძის ეს წერილი.

პუბლიკაცია მოამზადა სერგო თურნავამ.

* * *

მიწის საშო ევროპაში ამოიშრიტა. ყოველ შემთხვევაში, იგი დამწირების ხანაშია. „შვილი მოწყდა მამას“ და ნაყოფი უნაყოფოა. მის დასნეულებას თან სდევს მარტოობა. უკანასკნელი და ევროპული ხასიათის მელანქოლია, იფლობა. არ არის საკვირველი, თუ იქ დაიბადა მძაფრი წყურვილი პირველ ყოფისა ანუ პირველ მიწისა. რუსსო მოუწოდებს: „ბუნებასთან დაბრუნება“. ტოლსტოი მოუხმობს: „გაუბრალოება“. პირველი. სანტიმენტალიზმის იერით. მეორე რაციონალიზმის შეფერვით. ორივე ერთსა და იმავეს ლაპარაკობს არსებითად: ანოყიერება პირველ მიწისაგან. აღსანიშნავია ერთი ფაქტი ახალი წარსულითგან. პოლ გოგენ მიდის ტაიტში და ველურთა შორის ეზიარება მიწის ხელუხლებ წიაღებს.

ევროპამ უკვე შეიტყო, რომ „ველური“ არ არის ცნება ეტნიური საფეხურის. ველური პირველ ყოვლისა ბავშვია და ბავშვთან ყოველთვის არის სიმართლე. ყოველს მის ნაკვეთს აზის ბეჭედი პირველადის, სწორის, მართალის. აქ არის „პირველი სიტყვა“, აქ არის გულის გახსნა უკანასკნელი. ამისათვისაა, რომ ველურის ქმნილი ასეთი ექსპრესიით მოქმედებს: როგორც დიდი ლოდი, როგორც ცოცხალი წყარო, როგორც რტოები ირმის რქებისა. უკვდავი ჰომეროს: მარადი ბავშვი და მარადი სასწაულმოქმედი ველურის მიერ ამოჭრილი შველი თუ მამუტი — თევზის ძვალზე. აი პირველი ქმედითი აქტი. ცხადია ევროპის ხელოვნება მოწყურებული დაეწაფებოდა ამ ნიადაგის თაურებს. ამაში არ უნდა ვხედავდეთ უკან დახევას. აქ სრულიად სხვა ფენომენია: ნდომა უკანასკნელი გულახდილობის და მსოფლიოში შვილურად გადნობის: ბოლოს და ბოლოს სურვილი უკანასკნელი მთელობის. ასეთია პრიმიტივიზმის ხაზები. მის გაქანებას არქეოლოგიურ აღმოჩენებმაც შეუწყვეს ხელი, განსაკუთრებით კრიტოსის აღმოჩენებმა: კრიტოსის კულტურა, ევანსის აღმოჩენათა შემდეგ, შთაგონების უშრეტ წყაროდ გადაიქცა ევროპის ხელოვნებისთვის. განა გამოუთქმელი სიხარული არ იქნება იხილო თვალისმომჭრელი სამაჯური, რომელიც ვინ იცის ათას წლების უკან რომელიმე წარმართი მეფე ასულის თლილ მაჯას ამშვენებდა? კრიტოსის კულტურის ნაშთი, რასაკვირველია, არ არის ისეთი სისრულის, როგორიც პრაქსიტელის ჰერმეს, მაგალითად, მაგრამ მასში არის ბავშვის ხელი, უდარდელი და სწორი. ზეკაცურ არის მოქნეული. ეს კი ყველაფერია. კრიტოსის ვაზაში ჩასხმულია მატყვევებელი დენა ქმედითი ძალის. მის ხაზებში მოსჩანს ძველი ეგვიპტეცა და გარდასული ქალდეაც. თვითონ კრიტოსი გადარჩენილ ახალშენად იგულვება კატასტროფიულად დაღუპულ ატლანტიდის. ეს კიდეც უფრო ამახვილებს შის ჯადოსნობას.

ნიკო ფიროსმანი პრიმიტივისტია არა იმ აზრით, როგორც მაგალითად გოგენ. იგი თვითონ არის პრიმიტივი. მას არ გაუვლია რომელიმე სკოლა, საეჭვოა, რომ მას რაიმე ტექნიკა გაევლოს ხატვის ან ხაზვის. იგი იყო უბრალო და ნათელი. მოუსმინეთ ერთ მესარდაფეს: „ნიკოლა იყო პატიოსანი კაცი მეტად, უბინო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯერ მიჭმევია საწყალისათვის პური. კეთილი კაცი იყო. არავის ახსოვს მისგან წყენა. დადიოდა დაგლეჯილი, უყვარდა მეტად ლექსები (ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველასი, სხვისი ცხობით, გრ. რობ.). საიდან იყო, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, დაახლოებით 50 წლის იქნებოდა. გუშინაც კი მომაგონდა: ნეტავი ჩვენი ნიკოლა ცოცხალი იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და იაფად გამომიყვანდა მეთქი. ბევრ არაყს სვამდა საწყალი. იტყოდა: მიყიდეთ საღებავები და ამა და ამ სურათს დაგიხატავთო. მართლაც დახატავდა და მოიტანდა“.

ამ უბრალო სიტყვებს არაფერი მიემა-

ტება, აქ მოცემულია მთელი ფიროსმანი: ნამდვილი ვიზიონერი, თვალღია სიზმრის დაჭერა რომ სურს არაყით სავსე ჭიქასთან. მით უფრო საცნაურია მისი ფენომენი. ეგვიპტის უსახელო ფრესკი, აფრიკის რომელიმე კერპი, კრიტოსის ვაზა: ამ რიგში უნდა დაინახო ფიროსმანის ხატული.

მთავარი მოტივი ფიროსმანის არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია მეორე სახელი დავასახელო გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასეთი სიძლიერით ეგრძნოს მიწის „დედობა“. დღეობა, ღრეობა, ყურძნის კრეფა, ქათმები, ბავშვები, ცხოველები, კალო, — აქ არის მხატვარი ფიროსმან. აქ არის მოცემული ნამდვილი ქართული ტემპერამენტი: ხალასი მზით დაფენილი. აქ მხოლოდ სიცოცხლეა ხალისით, გულახდით, ნადიმით. ფიროსმან ქართული ყოფის ეპიური თვალია. ამ თვალის მზერამ მოგვცა დიდი და შესანიშნავი ტილოები. „ყურძნის კრეფა“ სურნელოვანია საწნახელის სურნელით.

აქ ყველაფერია: კრეფა, წურვა, ლხინი. სურათს ამთავრებს ბავშვი დათვის ბელით. უკანასკნელი ხაზი კიდევ უფრო ამძაფრებს ნახატს. ამავე რკალს ეკუთვნის მისი „ქორწილი კახეთში“. კიდევ უფრო შესანიშნავია მესამე დიდი ტილო „ღრეობა“. კომპოზიციის მხრით ეს სურათი თითქმის ყველა მის სურათზე უმძლავრესია და ურთულესი. ურმებით მოსვლა, ციხე ეკლესია, ქეიფი, ყველაფერი ერთი რკალით არის მოშვილდული. მინდა კიდევ აღვნიშნო მისი ტილო „დიდი მარხვა“. საგულისხმოა, რომ მხატვარს ლოცვა ბუნების შუაგულში აქვს გადატანილი. ლოცვა გაშლილ ჰაერში მოწმობს ფიროსმანის ერთგულებას მიწის მიმართ. აღსანიშნავია ორი პატარა ბავშვი: ერთი ხელებაპყრობილი და მეორე პირქვედამხობილი. მლოცველთა ჯგუფში ამ პატარა დეტალს შეაქვს მძაფრი ექსტაზი. შედევრია უცილო. ხოლო ფიროსმანი „ქალაქელიც“ არის ამ სიტყვის როგორც საერთო, ისე ტფილისური მნიშვნელობით. ვიზიონერსა და განმარტოებულს და არაყის მსმელს „სამიკიტნო“ უყვარდა. აქ ნახა მან ტფილისის პოემა კინტოს ლხენაში. რასსიული სხვადასხვა ხაზია კოლორიტიან ყარაჩოღელში. ალბად ეს თუ „აწვალებს“ მას. თითქო უდარდელია, მაგრამ რაღაც მაინც აწუხებს. ქეიფი, როგორც ერთგვარი არტისტიზმი, დამახასიათებელია ამ უცნაური კასტის. ფიროსმანის კინტოების სერიები დაუვიწყარია თავის ექსპრესიით და უცნაური პროფილით. აქ ფიროსმანმა დიდი გავლენა იქონია ლადო გუდიაშვილზეც. ამ სერიებში მე მომწონს ყველაზე უფრო ფართოდ გაშლილი ქეიფი ხუთის თუ ექვსი კინტოსი. მეზურნეები, მედოლე, ბიჭს ხილი მიაქვს, გოგონას ყვავილები, მოხუცს ხელადა ღვინით სავსე, კინტოები ყანწებით ხელში, ბალახზე გაშლილ სუფრაზე მწვანილი, ყველი, თევზი. ყველა ეს მაგარი კომპოზიციით არის გამართული. კიდევ უფრო გაქანებულია ტილო „ბელი დუხან“. ლ. გუდიაშვილის ერთი სურათი თითქო ამ ტილოს ვარიაციაა. არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო პატარა ქალაქელი ბიჭი. ამ ესკიზში თითქო მთელი რასიულობაა. ყარაჩოღელთა დადაღულ ქალაქს „მხიარული“ ქალებიც ახასიათებენ: ფიროსმანმა მოგვცა წყვილად ორთაჭალის გოგონები. საგულისხმოა მეტად, რომ ნათელი ფიროსმან ამ ცოდვის შვილებს უცოდველ ყვავილებთან აწვენს და მხარზე უბიწო მტრედებს დააფრენს. ქალაქის ტიპია აგრეთვე „მეეზოვე“: ოდნავ გამწყარალ სახეზე მოსჩანს მგველის თავისებური სპლინი. სურათი მარტივია უაღრესად და მძაფრად მეტყველი.

კინტოების ქეიფი მოლზე გაშლილ სუფრაზე უფრო იხატება ხილში და მწვანილში. შესაძლოა ამ ფაქტმა წარმოშვა ფიროსმანის „ნატურმორტები“ ერთს რკალში: ხელადა, ტიკჭორა, ყანწი, ბოთლი, კიტრი, ყველი, მწვანილი, ჭიქა, მწვადი, ხილი, თევზი. ნატურმორტებში სჩანს ფიროსმანის უდიდესი ტექნიკური მიღწევა. ერთი მათგანი (საკუთრება მხატვარ კირილ ზდანევიჩის) ფორმალური სისრულის მხრივ არ ჩამოუვარდება არცერთს ნატურმორტს თვითონ სეზანისა. მაგრამ, რაც უფრო საგულისხმოა, ფიროსმანს აქვს არა მარტო „მკვდარი ნატურა“, არამედ „მოკლული ნატურაც“. აქ არის ნიუანსი, ფიროსმანი იძლევა რაღაც ახალს. ნატურმორტებს საერთოდ ახასიათებს სიკვდილის სურნელი. ფიროსმანის ნატურმორტები სუფრაა მხოლოდ, რომელიც მოელის მოქეიფეთ, თუმცა ის სევდა აქაც არის, რომელიც უჩინრად ეჭრება ხოლმე ყოველ ლხინს. მაგრამ „მოკლულ ნატურაში“ ფიროსმან იძლევა უმძაფრეს საკოდარობას. სრულებით ფენომენალური — ამ ... მისი „აღდგომის კრავი“ სხვადასხვა ვარიაციით. „საცოდაობა“ აქ იწვევს უზენაეს სიყვარულს. ამ სურათის ხილვის შემდეგ გეცოდება ყოველი და გიყვარს ყოველი. პირადად ჩემთვის, როგორც პოეტისათვის „აღდგომის კრავი“ სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება.

ფიროსმანს უყვარდა მეტად ცხოველები, აღსანიშნავია „ირაფი“: უცხო, მედიდური, სხვა გონებით სავსე თვალები. „დათვი მთვარიან ღამეში“ უმაგალითო პეიზაჟია. დათვი შეჩერებული, წაქცეული ხეზე, თითქოს უეცრად გაღვიძებული მთვარეული და ძარღვებშეშინებული „ირემი“ — ორი ვარიანტი. განსაკუთრებით ერთი გადაჭრილი ხის გვერდით. საკვირველია აქ ეს დეტალი: ირემს გავა უნებლიეთ ოდნავ ჩამოჭრილი აქვს. კიდევ უფრო საგულისხმო: ირემი თითქო ხისგან არის გამოჭრილი, მაგრამ ამავე დროს უმძაფრესი სიცხოველითაა შეკუნთული ცხოველ არსებად. ეს „შეკუნთვა“ ისეთი ძალით არის მოძაბვული, რომ მთელი ირემი თითქო ხტომაა თვითონ. ფიროსმანს აქვს კიდევ მესამე ირემი, ხატულა: უჩვეულო სევდით ავსილი თვალებით. „ვირი დატვირთული“: შეშა-ტვირთი — მაგარი ტექნიკით არის დახატული. ვირის მზერა და საპასუხო ცქერა ბიჭისა — აქ ნატეხია მთელი ეპოსის. „აქლემში“, რომელიც სპარსელს მოჰყავს დატვირთული, საოცარია გახუნებული ფერი და სიდიდე აქლემის. „კრუხი და ბავშვი“: შესანიშნავია წიწილების სიცხოველე.

ფიროსმანი იცნობს ლანდშაფტებსაც. აღსანიშნავია ერთი შედევრი: ორი რიგით ხეები, ყურძნის მტევნებით დატვირთულნი. შუა გულში დიდი ჭური, უკან სახლი, იქით კი სინათლის ღელეები თითქო მომსკდარნი. ნათელი ფიროსმან ამ სინათლეში ბოლომდე.

ასეთია ფიროსმან „ველური“ და ბავშვი, მის პრიმიტივში მოცემულია „უშუალობა“ — თითქმის აბსოლუტური. ეს არ არის ფრაზა. ეს ონტოლოგიურ ფუტად მეჩვენება. ფიროსმანის ქმნილი ნატეხია ბუნების, მასში, ასე ვთქვათ, ჩამოსხმულია თვითონ შთაგონება. იგი სხეულია, უკანასკნელის შთაგონებასა და მის სხეულყოფას შორის მანძილი არ არის. ასე ძლიერია მხატვრის შთაგონებულობა.

ფიროსმანის უკულტურობას და მის ტექნიკურ უხერხულობას თითქმის ველარ ამჩნევ: ხედავ მხოლოდ რომელიღაც უმაღლეს სიმართლეს. ფიროსმანის ნახატები ბუნებურობის ფაქტებია: წყაროს თვალი თუ ირმის ჩლიქი.

ჭეშმარიტად გენიალური ბარბაროსია იგი — ბავშვის ქალწულური სულით. ორი სიტყვა ფიროსმანის საღებავებზე. იგი უმეტეს ნაწილს მუშამბაზე ხატავდა. აქედან თავისებური ფიროსმანური აფერვა (მხატვარ შევარდნაძის მართალი შენიშვნით). შესაძლოა: აქ უნდა ვეძიოთ ფიროსმანის სიყვარული ჭაობის ფერებისა. უცნაურია თითონ ხვედრი მხატვრისა: თითქოს კი არ მოკვდა, არამედ დაიკარგა. თითქო იმისათვის, რომ მისი ხატული „უსახელოდ“ დარჩენილიყო როგორც ნაშთი დიდის პრიმიტივისა. ხედავ ფიროსმანს და გჯერა საქართველო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვა წარმოთქმული დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1919 წლის 1 ივნისს

ამ ბოლო წლებში ბევრმა დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა იხილა მზის სინათლე. არქივებიდან ამოვიდა მასალები, რომლებიც სწორ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენს გუშინდელ დღეზე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის, ქართველი ხალხისათვის, მარტო ამ თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა და დამაფიქრებელი ეროვნული გვარდიის მეთაურის ვალიკო ჯუღელის სიტყვა, წარმოთქმული 1919 წლის 1 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე.

... პირველი მსოფლიო ომისგან დანგრეული სახალხო მეურნეობა. დამოუკიდებელი საქართველო თავისი ეროვნული აღორძინებისათვის იბრძვის. საქართველოს მხედრიონი ქვეყანას იცავს დენიკინის მოხალისეთა ურდოებისაგან. დენიკინის გეგმაა ბათუმ-ბაქო იგდოს ხელთ და შემდეგ რუსეთის შუაგულისაკენ გაიჭრას. 1919 წლის 17 აპრილს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმ. გვარდიამ გაგრიდან უკუაქცია ეს მოძალადე ჯარი და ჩვენს სამშობლოს შეუნარჩუნა თავისი მიწა-წყალი. თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ გაანთავისუფლა ქალაქი სოჭი.

აი, ამ დროს წარმოითქვა ეს სიტყვა, რომელიც ქვემოთ იბეჭდება.

სიტყვა მოიძია, შენიშვნები დაურთო და დასაბეჭდად მოამზადა აპაკი ძიძიგურმა.

* * *

მოქალაქენო! მე მაგონდება ის ბედნიერი სანეტარო ღამე, რომელიც ჩვენ გავათენეთ 17 აპრილს შეტევის წინ. სწორედ იმ ღამეს, როდესაც გადაწყვეტილი იყო ჩვენი შეტევა დენიკინის შავ ჯარების წინააღმდეგ, ჩვენ მოვიწვიეთ ყველა ჩვენი სარდლები, ერთ პატარა ცივ ოთახში დავიბარეთ ჩვენი მოწინავე ამხანაგები, მეომარნი, და მოკლედ უთხარით: დღეს წყდება ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის და დემოკრატიის ბედ-იღბალი. დღეს შეტევაზე გადავდივართ. და უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ დასახევი გზა თქვენ არა გაქვთ, ან უნდა გაიმარჯვოთ, ან უნდა დაიხოცოთ.

ამხანაგები სერიოზულათ გვისმენდნენ და შემდეგ ყველას ღიმილი დაეტყო სახეზე. ერთმა სთქვა: — „დღეს ჩვენ გვითენდება აღდგომა“. და მართლაც, როდესაც ჩვენი ჯარი გადავიდა შეტევაზე, აღფრთოვანებულნი ვიყავით, სახელი გამარჯვებულებისა ადვილად ვპოვეთ, და თითქმის არავინ დაგვიკარგავს.

და მე მწამს, ამაში ვარ დარწმუნებული ღრმად, რომ თუ მომავალშიაც ის სიტყვები, რომელიც აქ წარმოითქვა ერთის მხრივ, და მეორეს მხრითაც, — „ან სიკვდილი. ან გამარჯვება“ — დარჩება არა სიტყვად, არამედ თვითეული ჩვენგანი ამას შეიგნებს და სავსებით იგრძნობს, მაშინ, რასაკვირველია, დენიკინის ჯარები მიუხედავათ თავის სიშავისა და სიძლიერისა, ჩვენ ვერ დაგვამარცხებენ.

მაგრამ აქვე მინდა ვსთქვა, რომ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მართლაც დენიკინის ძალა ისეთი სუსტია, რომ მისი აბუჩად აგდება ჩვენს დემოკრატიას შეუძლიან. ნურავინ იტყვის, რომ ის არის ერთი ხროვა გზა დაკარგულ ოფიცრებისა, ხროვა რუსეთის რეაქციონერებისა, რომელიც მაშინვე გაიფანტება, თუ ჩვენ მედგრად დაუხვდებით მას. არა, მოქალაქენო, ბრძოლა, როდესაც ის დაიწყება, და ბრძოლა უკვე დაწყებული არის, იქნება მეტად სასტიკი, სისხლიანი, და მეტად ძნელი. და ეს ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს. ამას ვამბობ მე დღეს, როდესაც ფრონტზე მივემგზავრები. და უნდა გითხრათ, რომ ჩვენ, ვინც ფრონტზე ვდგევართ, ამ ძალას მეტად სერიოზულათ ვუყურებთ. და გვინდა მთელი საზოგადოება, მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია ამ ძალას სერიოზულათ უყურებდეს. ამით მე, რასაკვირველია, არ ვამბობ, რომ ეს ძალა იმდენად სერიოზულია, რომ ჩვენ ვერ შევებრძოლებით. არა, ამ ძალას, მიუხედავათ მისი სიძლიერისა, ჩვენ შევებრძოლებით და კიდევაც დავამარცხებთ (ტაში). ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ, და არა იმიტომ ვლაპარაკობ ამას, რომ მაგარი სიტყვები ვსთქვა, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ეხლა ისეთია, რომ არც ზედმეტი პესიმიზმი, არც ზედმეტი ოპტიმიზმი ჩვენში არ უნდა იყოს გამეფებული. ჩვენ სერიოზულად, მეტად დინჯად უნდა შევხედოთ ჩვენ მდგომარეობას. და რაკი ესე შევხედავთ, რაკი გავეცნობით მას, ჩვენ უნდა ვიგრძნოთ კიდეც. მარტო შეგნება საკმარისი არ არის, აქ უნდა იყოს გრძნობა, გრძნობა რომელიც წარმოშობს აღფრთოვანებას, და ჩვენ ძალთა გაერთიანებას. და ეს გაერთიანება და აღფრთოვანება, უძლიერესი გამარჯვება იქნება.

მაგრამ, თქვენ, მე მგონია, გაინტერესებთ ჩვენი ფრონტის მდგომარეობა, და რადგანაც ამ ფრონტის ირგვლივ, და ჩვენ შეტევის გამო საზოგადოებაში ერთგვარი აზრთა ტრიალი არის, მე მინდა თქვენ გითხრათ, რა პირობებში გადავედით ჩვენ შეტევაზე და რა საერთო მდგომარეობა არის ჩვენს ფრონტზე.

თქვენ იცით, რომ სოჭში ქურდულად დამარცხებულს ჩვენს ჯარს, როდესაც ის, მოტყვილებით და ვერაგულათ დენიკინის გენერლებმა ხელში ჩაიგდეს, დროზე დახმარება ვერ გაუწიეთ, რადგანაც ჩვენ ბუნებამაც ხელი შეგვიშალა, დროზე ვერ გადავისროლეთ იმდენი ძალა, რომ გაგრის ოლქი მაშინვე დაგვეკავებინა. მხოლოდ მის შემდეგ გადავედით, როდესაც დენიკინის ჯარს, არა მარტო მდინარე ბზიბის მარჯვენა ნაპირი ეკავა, უკვე გამამაცებული იყო, და გადმოსული მარცხენა ნაპირას. აი სწორედ იმ დროს ჩავედით ჩვენ, და უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, შევეცადეთ ამ მარცხენა ნაპირის გაწმენდას და მის დაჭერას. ეს ძალიან ადვილად მოვახერხეთ, და რადგანაც ჩვენ გამარჯვებული ვიყავით, ჩვენ ძალებში დარწმუნებულნი ვაპირებდით მარჯვენა მხარეზე გადასვლას. ამ დროს ჩამოვიდა ინგლისის გენერალი უაიტი, და მან გვითხრა: „დადექით თქვენ ალაგას. მე ვარ გამოგზავნილი თქვენ მოსარიგებლად, და ჩემის საშუალებით თქვენ განახორციელებთ თქვენს მიზანსო“. ჩვენც დაუჯერეთ მის სიტყვას, და რამდენიმე კვირა უცადეთ. მის შემდეგ უაიტი გამოცვალეს და მის ადგილას დანიშნეს პოლკოვნიკი ფაიმსი. პოლკოვნიკი გვეუბნებოდა, რომ „მე ვარ უბრალო სალდათი, მე ვასრულებ ჩემი უფროსების ბრძანებას — ეს ბრძანება ის არის, მე ბრძოლა არ დაუშვა არც ერთის მხრივ,

არც მეორეს მხრიდან, და ჩვენ მშვიდობიანად გადავწყვეტთ ამ სადაო საკითხსაო.

ჩვენი მთავრობაც ამას გვეუბნებოდა. და ჩვენ მშვიდობიანობის მოლოდინში ვიდექით ორი თვე. და ამ ორი თვის განმავლობაში გენერალ დენიკინმა არ მოისურვა დაეცალა საზღვრები. გადიოდა დრო, ჩვენ თანდათან ვაგროვებდით ძალებს. დენიკინიც აგროვებდა თავის ძალებს და მდგომარეობა გამოურკვეველი იყო. ბოლოს და ბოლოს, აშკარად შეიქმნა ჩვენთვის, რომ თავის ჩარევით მესამე ძალა ვერ მოგვარიგებდა. ამ მესამე ძალას, ნებით, თუ უნებლიეთ უნდოდა დენიკინის ფრონტის გაძლიერება და დრობით ჩვენი შეტევის შეჩერებით დენიკინის ფრონტის გამაგრება. და რადგანაც ასეთი მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს გვასუსტებდა ჩვენ და ამაგრებდა დენიკინს, და რადგანაც აშკარა იყო ჩვენთვის, რომ დენიკინს ეჭირა ჩვენი რევოლუციონური ტერიტორიის ნაწილი — ჩვენ ერთ ადგილას დადგომა აღარ შეგვეძლო, და ჩვენ შევეკითხეთ მთავრობას, რათა ნება მოეცა გადავსულიყავით შეტევაზე.

ამ დროს ჩვენი მთავრობაც დარწმუნდა, რომ მესამე ძალას აღარ შეუძლიან დენიკინის განდევნა, რომ დენიკინი, მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიული ბრძანება ჰქონდა ინგლისელებისა, — თავის ნებით მაინც უკან არ წავიდოდა. და ჩვენ გადავედით ამ შეტევაზე.

გარდა ყველა დადებითი თვისებისა, რომელიც ჰქონდა ამ შეტევას, ერთი დიდი დადებითი თვისება ჰქონდა მას შემდეგი: დაახლოებით, დანამდვილებით, შეტევაში, ბრძოლაში გავეცანით დენიკინის ძალებს. ჩვენს წინააღმდეგ მაშინ იდგა ოფიცერთა პოლკი და კიდევ სხვა, თავის ზარბაზნებით და პულემიოტებით. და მართალი გითხრათ, თუმცა ხალისით გადავდიოდით შეტევაზე, მაინც თვითეული ჩვენგანი ფიქრობდა, — აი სწორედ ეხლა ჩვენ გვაქვს საქმე გამოცდილ ჯართან, რომელსაც სათავეში უდგა საუკეთესო გენერლები, და ამიტომ თვითეული ჩვენგანი, თუმცა საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, მაგრამ მაინც გვჯეროდა, რომ ამ შეტევაში და ბრძოლაში ბევრი ჩვენგანი განუტევდა სულს. და ჩვენ დიდის მზადებით, და სიფრთხილით გადავედით ამ შეტევაზე. მაგრამ აქ, მე სიხარულით და საბედნიეროდ უნდა აღვნიშნო, რომ თუ ჩვენ აქამდის გვქონდა ბრძოლა რომელიმე ბანდებთან, საიდანაც უნდა შემოგვსეოდენ ისინი, ყველაზე უფრო დიდი ძლიერი ბანდა ყოფილა დენიკინის ბანდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავს უმთავრესად ოფიცრობა, რომ მას ყავს ოფიცერთა პოლკი. და ეს პოლკები არიან მოუწესრიგებელნი, ისინი არ არიან გამსჭვალულნი საერთო შრომის იდეით და ისინი ვერ უმაგრდებიან აშკარა შეტევას, და ამიტომ ძალიან ადვილად მარცხდებიან.

ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ დენიკინს საკმაო ძალა ჰყავს, მაგრამ მე იმას ვამბობ, რომ დენიკინის ძალა არ არის ჩვენთვის საშიში მაშინაც კი, როდესაც ორ და სამჯერ ჩვენზე მეტს ძალას წამოაყენებს; რაოდენობით იმას შეუძლიან რასაკვირველია ჩვენზე მეტი ძალა წამოაყენოს, მაგრამ ხარისხით, აღფრთოვანებით, ბრძოლის სურვილით, ჩვენი ძალა ბევრად უფრო ძლიერი იქმნება. ამაში ჩვენ სწორედ დავრწმუნდით 17 აპრილს, როდესაც ჩვენ ისევ ადვილად გავიმარჯვეთ. და როდესაც ბრძოლის დროს მრავალი ჯარისკაცი და, მე ვიტყვი, მრავალი ოფიცერი სიხარულით გადმოდიოდა ჩვენს მხარეზე, როდესაც ჩვენ შეტევა დავიწყეთ და გადავდიოდით ხიდზე, აი სწორედ მაშინ მოვიდა ჩვენთან ინგლისელი კაპიტანი ნორმანი და იმან გვითხრა, „აქ არის ორი დენიკინის ოფიცერი, რომელნიც დარაჯობენ ამ ხიდს, და ამ ოფიცრებს უნდათ თქვენ მხარეზედ გადმოსვლა“. თქვენ წარმოიდგინეთ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან. ინგლისის ოფიცრობა აშკარად ხედავდა ჩვენ ბრძოლას და მე თამამად ვამბობ, აშკარად დარწმუნებულია, რომელ მხარეზე არის ბანდები. რომელი მხარე იცავს ანარქიას და რომელი მხარე იცავს წესიერებას. და აქ ისიც უნდა ვსთქვა, რომ სწორედ ამ შეტევაში, ამ ბრძოლაში, ამ ფრონტზე ჩვენმა ჯარმა დიდი გამოცდილება მიიღო. იმ დროს, როდესაც არავინ მოელოდა, რომ ჩვენი ჯარი გადავიდოდა მდინარე ბზიბზე, რადგანაც ხიდი გახსნილი იყო და ყველა დარწმუნებული იყო, რომ მარტო ხიდის საშუალებით შეიძლება გადასვლა მეორე მხარეზე, — ჩვენი გვარდია გადავიდა 20 ადგილას, — ზოგიერთი ცურვით, ზოგიერთი ნავით, ზოგიერთი მავთულით (ტაში). და სწორედ მაშინ, როდესაც გენერალი ბრიგსი ჩვენ მთავრობასთან მოლაპარაკების დროს ამბობს, რომ ჩვენ უდიერად ვეპყრობით დენიკინის ტყვეებს, რომ ისინი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, — მე მოვითხოვ, რომ ინგლისის წარმომადგენელი თითონ წამოვიდეს ადგილას და დაეკითხოს იმ ტყვეებს — რამდენი მათგანი მოისურვებს დენიკინთან დაბრუნებას. მე ვამბობ, რომ ჩვენ 400-500 ტყვეებისგან, რომელნიც ჯარის კაცებისგან შესდგებიან, დენიკინს მარტო 20-40 თუ დაუბრუნდა, ორმოცი ოფიცრებისგან, რომელნიც ტყვედ გვყვანან 34 თხოვნა შემოიტანა ჩვენს სახელზე, — თუ იქნება ჩვენი დენიკინთან გაგზავნა — არასგზით არ გაგვგზავნოთ მასთანო.

ასეთია ჩვენი მდგომარეობა. და მე ვამბობ, ეს ოფიცრები და ეს ჯარის კაცები, რომელნიც ჩვენ ტყვეთ გვყვანან, არიან კარგ მდგომარეობაში, რამდენადაც ჩვენ შეგვეძლო შეგვექმნა და, რასაკვირველია, ბევრად უფრო კარგ მდგომარეობაში, ვიდრე ჩვენი ტყვეები დენიკინის ხელში. და უმეტეს ნაწილად სრულიად არ არიან მოტრფიალენი, რომ კვლავ დენიკინს დაუბრუნდნენ, და თუ ინგლისის წარმომადგენლებს მართლა სიმართლე აინტერესებთ, — მოვიდენ და გაარჩიონ ადგილობრივ ეს მდგომარეობა. მაგრამ, იცით, როდესაც ჩვენ ავიღეთ გაგრა და როდესაც დენიკინმა დაგვიტოვა საშინელი მემკვიდრეობა 400 ტიფით ავადმყოფი კაცი, ჩვენ ვთხოვეთ ინგლისის ერთ ოფიცერს, პოლკოვნიკს: — მობრძანდით ჩვენთან ერთად და დაათვალიერეთ მათი საავადმყოფო, რომელიც საშინელ ჯოჯოხეთის მდგომარეობაში იყო. ინგლისის პოლკოვნიკმა გვითხრა: „მე ძალიან გულჩვილი ადამიანი ვარ, ვიცი რა საშინელ მდგომარეობაში არის მათი საავადმყოფო, და ვერ წამოვალო“. მართლაც მათი საავადმყოფო ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ჩვენ ისედაც [illegible] ბულთ, გაჭირვებულთ, დიდი ფულის დახარჯვა დაგვჭირდა, რომ ეს საცოდავნი ჩაგვეყენებინა შესაფერ პირობებში, და დღეს ისინი მართლაც რიგიან პირობებში არიან ჩაყენებულნი.

აი ასე ვიბრძვით ჩვენ, ასე იბრძვის ჩვენი დემოკრატია და ჩვენ ვამბობთ, — ის დემოკრატია, რომელიც ასე იბრძვის, რომელიც დამარცხებულ მტერს ასე ეპყრობა, ყოველთვის გამარჯვებული იქნება.

ახლა მე მინდა გადვიდე უფრო პროზაულ და ჩვეულებრივ საგანზე. თუ მართლა ეს პროზა არ იქნება სავსებით შეთვისებული, თუ ეს პროზა ჩვენ არ შეგქონინთ ჩვენს ცხოვრებაში, — არავითარი გამარჯვება არ იქნება ჩვენ ფრონტზე, თუ ჩვენ 10.000-20.000 კაცს გადვისვრით ჩვენ ფრონტზე და მერე ფრონტი მიგვავიწყდება, მაშინ, რასაკვირველია, ეს 10.000 კაცი გაწყდება და ჩვენ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ.

მე უკვირდები ჩვენს საზოგადოებას და სამწუხაროდ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით არ არის ის აღფრთოვანება, ის ერთსულოვნება, რომელიც უნდა ამაგრებდეს ჩვენს ფრონტს. ჩვენმა საზოგადოებამ თითქოს არც იცის ის საშინელი საფრთხე, რომელიც ჩვენ ქვეყანას, ჩვენ დამოკრატიას მოელის; საზოგადოებამ არ იცის რა საშინელი ღრუბელი დაწვა ჩვენს ქვეყანას, არ იცის, რომ ეს ღრუბელი ჩვენს ქვეყანას, მე ვიტყვი, თქვენი სიტყვით, „მთელ ჩვენ ერს“ განადგურებას უქადის. საზოგადოებამ ეს არ იცის, საზოგადოებამ უნდა იგრძნოს ეს და როდესაც იგრძნობს, — უნდა მიიღოს ზომები, რომ მთავრობას დაეხმაროს ხალხის გამარჯვების საქმის ორგანიზაციაში.

მე მახსოვს ჩვენი ქალები, არა ის დედები, ჩვენი ქართველი ძველი დედები, რომელნიც დღეს თავის ანდერძით შველიან, არა, — ჩვენი ქართველი ქალები რუსეთის რეაქციის დროს: მაშინ კომიტეტებს, საზოგადოებებს აარსებდნენ, ამზადებდნენ სხვა და სხვა ნივთებს და ფრონტს უყურებდნენ. და ნუთუ მაშინ იმიტომ იყო ჩვენი საზოგადოება დაინტერესებული, რომ ვარანცოვ-დაშკოვებს, ან სხვა ვინმე დიდ რუსს ასიამოვნებდნენ? არა, სწორედ ეხლა, როდესაც ჩვენი ქალები, ჩვენი დედები სავსებით შეიგნებენ ჩვენი ქვეყნის საშინელ მდგომარეობას, მაშინ ისინი დიდის ენერგიით დაუკვირდებიან ფრონტს და შექმნიან იმ სითბოს, რომლითაც სულდგმულობს ფრონტი. ბოლოს და ბოლოს მიუხედავად იმისა, რომ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ფრონტი, ის მაინც დიდი ბავშვი არის, მას ადვილად ეწყინება პატარა რამ, და პატარა რამ გაახარებს. მაგალითად, როდესაც აღდგომა დღეს ჩვენ არავითარი საჩუქარი არ მოგვივიდა, ჩვენი გვარდიელები, როგორც დიდი ბავშვები, ძალიან დაღონებულნი იყვნენ. რასაკვირველია იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ მოგვივიდა წითელი კვერცხი ან პასკის ნაჭერი, მაგრამ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ იმით იქნება გაბმული ერთგვარი ძაფი ფრონტსა და საზოგადოებას შორის. მე მჯერა, რომ მომავალში ეს ერთგვარი სისუსტე ჩვენი საზოგადოებისა სრულიად მოისპობა, და

19316

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ჩვენი საზოგადოება დადგება ფეხზე და გაამაგრებს და გააცოცხლებს თავის სითბოს.

გუშინ თბილისის დეპუტატთა მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა ერთი მილიონი მანეთი გადასდო თავდაცვის ფონდის შესაქმნელად (ტაში). აი სწორედ ეს ნაბიჯი ამტკიცებს, რომ მდგომარეობა სერიოზული არის, რომ მთელი ჩვენი ძალები უნდა დავრაზმოთ. თუ ეს თანხა პირველად გამოიღო სწორედ იმ ორგანიზაციამ, რომელიც თავიდანვე ემსახურება ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დემოკრატიის ბედნიერებას და სიძლიერეს. ეხლა შემდეგი სიტყვა ეკუთვნის საზოგადოების სხვა წრეებს, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მილიონი მალე მრავალ მილიონად გაიზრდება, და თქვენ იცით, რა მნიშვნელობა აქვს ფულს ომის დროს.

აქ ერთმა ამხანაგმა სთქვა, რომ ერთსულოვნებისა და სიძლიერის შესაქმნელად საჭიროა სამი რამე: ერთი — გამოვიღოთ ჩვენი ქონება, ვისთვისაც ეს შესაძლებელია, მეორე — ჩვენი შრომა, და მესამე — უნდა ავამოძრაოთ ჩვენი შეიარაღებული მკლავიო. და თუ ყველა ამას შევძლებთ, თუ საზოგადოების და ფრონტის შორის ძაფი გაიბმება ქვეყნის თავდაცვისათვის, მაშინ რასაკვირველია, ვერავითარი დენიკინი ჩვენ ვერ დაგვამარცხებს.

აქ უნდა გითხრათ შემდეგი: თქვენ იცით, რომ ჩვენი საზოგადოება შესდგება ბოლოს და ბოლოს მუშების, გლეხების, ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობისაგან. თქვენ იცით, რომ თავად-აზნაურობის თაყვანისმცემელი მე არასოდეს არა ვყოფილვარ. მაგრამ ამასთანავე მე თამამად და სიხარულით ვამბობ, ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოჰყო ისეთი წრეები მებრძოლთა, რომელიც შესანიშნავად იცავენ ქვეყანას. თქვენ იცით, რომ დენიკინის წინააღმდეგ სდგანან ბევრი ჩვენი ოფიცრები, რომელნიც, ძველი სიტყვით რომ ვსთქვათ, საუკეთესო ჩვენ გვარებისაგან არიან გამოსულნი. მე დღეს არ ვიცი, რომელი უფრო მეტი სიყოჩაღით, მეტის თავდადებით იბრძვის: ის ოფიცერი — თავადიშვილი, 4-ჯერ რომ იყო დაჭრილი და ფრონტს არ შორდებოდა, თუ მეორე — მუშა, რომელიც ტყვიით დაჭრილია და მის გვერდით რჩება. აი ბატონებო, მე ვამბობ, თუ ასეთი ერთსულოვნება იქნება და ყველა საზოგადოება გამოყოფს მებრძოლებს, — მტერმა ძალიანაც რომ მოინდომოს, რასაკვირველია, ჩვენ ვერ დაგვამარცხებს.

მაგრამ, აქვე უნდა ვსთქვა, ჩვენში არის ერთი წრე, ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც ყველაზე უფრო კარგად გრძნობს თავს, მაგრამ ყველაზე უფრო ნაკლებ მონაწილეობას იღებს ქვეყნის დაცვაში.

თქვენ იცით, რომ თავად-აზნაურობას ჩვენ ჩამოვართვით წოდება, თავად-აზნაურობას ჩვენ ჩამოვართვით მიწები, მაგრამ მაინც ზოგიერთი საუკეთესო შვილები თავად-აზნაურობისა ხალხთან ერთად თავისუფლებას იცავენ. მხოლოდ არის ერთი წრე, წრე, რომელსაც საერთოდ ბურჟუაზია ჰქვიან და აი ბურჟუაზ- ^ ყველაზედ მეტი ჰპოვა ამ რევოლუციაში. მაგრამ ბურჟუაზიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ქვეყნის და ხალხის დაცვაში. აი ამიტომ, ჩვენი მთავრობის და დემოკრატიის ვალი არის, რომ ეს გამდიდრებული ბურჟუაზიაც მოიყვანოს ქვეყნის, ხალხის და დემოკრატიის საკურთხეველზე და გამოიღოს ის, რისი გამოღებაც მას შეუძლიან. ეს არის ფული, და ჩვენ გვწამს, რომ ამ მოკლე დროს მთავრობა შემოიტანს შესაფერ კანონ-პროექტს, და დამფუძნებელი კრება ამ კანონ-პროექტს მიიღებს. და თუ ეს ასე მოხდა, თუ ეს ასე იქმნა, მაშინ მე მწამს, რომ ვერავითარი გარეშე ძალა, ვერავითარი რეაქციონური ძალა ჩვენ ვერ დაგვამარცხებს.

მე ერთხელ კიდევ მინდა მივაქციო ჩვენი მთავრობის ყურადღება ერთ რამეზე. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც ჩვენ ვდგევართ დენიკინის წინააღმდეგ, ჩვენ ვიცით, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ საქმე გვაქვს შეიარაღებულ რეაქციასთან, ჩვენ ვიცით, რომ დენიკინი თავის ძალის მობილიზაციას არასოდეს არ ახდენს, მას თავისი ჯარი მუდამ იარაღში ჰყავს, და მისთვის სულ ერთია, — სად გააჩერებს თავის ჯარს: — ტიხორეცკში, ეკატერინოდარში, თუ სოჭის ოლქში. ამ მხრივ ის სრულიად სიმძიმეს არ გრძნობს, რადგანაც ეს შეიარაღებული ძალა მას მუდამ ფეხზე ჰყავს. ჩვენ ქვეყანას ბრძოლის უნარი აქვს.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ მას ბრძოლის უნარი აქვს, მაინც ბრძოლას არ ეტრფის, არ უნდა ბრძოლა და სანამ ამ ბრძოლას ჩვენ თავზე არ მოგვახვევენ, ჩვენ იმას ხელს არ ვკიდებთ. და აი სწორედ ჩვენ გვინდა შევქმნათ ისეთი დრო, რომ ეს იარაღი თავისუფლად ხელიდან გავაგდოთ. მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევენ. და თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, ძალიან შეგვასუსტებს როდესაც მრავალი ათასი შეიარაღებული ხალხის საუკეთესო შვილები ჩვენ ფრონტზე გვეყოლება. ამიტომ ეს საკითხი, დენიკინის საკითხი, რაც შეიძლება კატეგორიულად, რაც შეიძლება ადრე უნდა გადაწყდეს.

ისეთი რყევის პოლიტიკა, რომელსაც ძალაუნებურად ვაწარმოებდით, როდესაც გარეშე ძალა ჩვენ ხელს გვიშლის, ასეთ რყევის პოლიტიკას თანდათანობით თავიდან უნდა ავცდეთ, თორემ მოხდება ის, რომ დენიკინი თანდათან, ნაწილ-ნაწილ დაიპყრობს, დაიქვემდებარებს იმ ძალებს, რომელნიც ჩვენ ირგვლივ არიან. იმან თითქმის სავსებით დაიკავა მთიულეთი. ეხლა ის გადადის ადერბეიჯანში და თუ ჩვენ მივეცით მას უფლება გადავიდეს ადერბეიჯანში, რასაკვირველია, მაშინ ჩვენი ძალები ძალიან შესუსტდებიან. ამიტომ, მე მგონია, მთავრობამ კატეგორიულად უნდა დასვას საკითხი, თუ დღეის შემდეგ დენიკინის ჯარმა ერთი ნაბი^ კიდევ წინ წასდგა ან ადერბეიჯანისაკენ ან მთიელეთისაკენ, ეს იქნება ჩვენთვის ომის გამოცხადება. და თუ ამ გზას დავადგებით, მე მგონია, ან შევაჩერებთ წინსვლას, ან-და დავატრიალებთ იმ ომს, რომელშიაც ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყდება. თორემ ეხლა შეიძლება ასეთი პოლიტიკის წარმოებით შეგვაჩერონ ერთი თვე, შეგვაჩერონ ორი, სამი თვე, შეგვაჩერონ იქამდის, სანამ ჩვენ ხალხს არ დააუძლურებენ ეკონომიურად და სწორედ იმ დროს, დაიყენებენ ჩვენს წინააღმდეგ შემოტევას, — დესაც ჩვენ სრულიად განმარტოებული ვიქნებით, როდესაც ადერბეიჯანი დაკავებული იქნება და სომხეთთან მათ ერთგვარი ძაფი ექნებათ გაბმული.

რომ ეს ასე შეიქმნას, ჩვენმა მთავრობამ ერთგვარი ნაბიჯი უნდა გადასდგას, კატეგორიულად უნდა სთქვას-თუ დენიკინის ჯარი ფეხს წარსდგავს ამიერ-კავკასიაში, მას ექნება საქმე ჩვენ ქვეყანასთან, ჩვენ დემოკრატიასთან, ჩვენ მთავრობასთან. (ხმები: მართალია!). ეს მთავრობისთვის აუცილებელია. მე ვამბობ ამას, როგორც ერთ-ერთი ფრონტის წარმომადგენელი იმიტომ, რომ ვიცი თუ რა ძნელია ფრონტზე უმოქმედოთ ყოფნა.

აი ეხლაც გუშინ წინ პატარა შეტაკება დაიწყეს მტრებმა. მთის არტილერიამ რამდენჯერმე ზარბაზანი გვესროლა. გუშინ დილით პატარა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ის უკუ აქცია. ჩვენ მოგვიკვდა ერთი კაცი და ერთიც დაგვეჭრა. სწორედ ამ პრაქტიკით მას შეუძლიან, რომ ჩვენ მუდამ ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენოს, რომ მთელი ჩვენი ძალებით მიპყრობილი ვიყოთ ფრონტზე და ამას იქამდის აწარმოებს, ვინემ ბოლოს და ბოლოს საზოგადოებას არ მოსწყინდება ფრონტისაკენ ყურება.

მე ვიცი, რომ ჩვენ ხალხს შეუძლიან ერთ წუთში აღფრთოვანდეს. მაგრამ მე ვიცი ისიც, რომ ეს აღფრთოვანება უცბათ გაქარწყლდება ხოლმე და მტერსაც ეს უნდა. დღეს თქვენ აღფრთოვანებულნი ხართ, ხვალ შესდგება ქალთა და სხვა და სხვა საზოგადოებები, ფულს შეაგროვებენ, ფრონტს მიხედავენ. მაგრამ ორი-სამი თვის შემდეგ ეს უკვე მოგწყინდებათ, ფრონტი მიგავიწყდებათ. აქ შეიქმნება ეშვიდობიანი მდგომარეობა და სწორედ მაშინ ჩაგვცემს ჩვენ მტერი ზურგში ლახვარს. და რომ ეს არ მოხდეს მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობა სრული ყურადღებით მოექცევა ამას და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენ ხალხს, ჩვენს დემოკრატიას, რომ მტერი ქურდულად ჩვენ თავს ვერ დაგვეცემა. და რადგანაც მე მიხდება ისევ ფრონტზე გამგზავრება, იმედი მაქვს, რომ სწორედ ჩვენი ხალხის, თქვენი და მთავრობის სურვილს გადავცემ იმ ჯარს, იმ გვარდიას, რომელიც ფრონტზე სდგას, რომ ჩვენ მზად ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრძოლოთ იმ საშინელ შავ-ბნელ რეაქციას, რომელიც განადგურებას უქადის მთელ ჩვენ დემოკრატიას და სამუდამოდ ყოველ მომავალს უსპობს ჩვენ განთავისუფლებულ ხალხს, რომ თვითეული ჩვენგანი გრძნობს იმ დიად ლოზუნგის იდეალებს, რომელიც არის ან სიკვდილი, ან გამარჯვება. და ის, როგორც ერთი კაცი თქვენთან ერთად, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა ამ ბრძოლაში თუ გამარჯვებას ვერ ჰპოვებს, ის ჰპოვებს სახელოვან საფლავს. (ტაში).

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ საქართველოს მთავრობა

ძლვნად თავისუფალ სამშობლოს (26 მაისის სახსოვრად)

მოქალაქენო, სამშობლო აღსდგა მკვდრეთით! მოგილოცავთ 26 მაისს!



საქართველოს დამფუძნებელი კრება, შეკრებილი 1919 წ. მარტის 12.



ნ. ფორდანია — პრემიერ-მინისტრი, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი; მინისტრები: ნ. რამიშვილი განათლების, საშინაო და შინაგან საქმეთა;

საქართველოს მთავრობა

ნ. ხომერიკი — მიწათმოქმედების, შრომის და გზათა; ფ. გეგეჭკორი — იუსტიციის და გარეშე საქმეთა; კ. ყანდელაკი ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა.

გამოცემა თეატრი და ცხოვრებისა.
(იოსებ იმედაშვილისა)

ფასი ათი მანეთი.

თბილისი, 1919 წ.

მსოფლიოს პირველობა სეკუნდანტის თვალით

მოხდა ისე, რომ ჩვენი ცნობილი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** მსოფლიო ჭადრაკის ეპიცენტრში აღმოჩნდა. იგი, როგორც გარი კასპაროვის სეკუნდანტი, მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონის შეკრებებში, და დიდად დაეხმარა მას წინა მატჩში ანატოლი კარპოვთან. მისი წვლილი ამ ორთაბრძოლის მოგებაში დიდი იყო, ეს ჩანს თუნდაც იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ქართველ დიდოსტატს სთხოვა, მომავალ მატჩშიც გაუწიოს დახმარება. ამიტომ, მასზე უკეთეს მოსაუბრეს სად ვნახავ-დით.

— ახლა, როდესაც გამოვლინდნენ პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეები, უპირველეს ყოვლისა, ის გვითხარით,ამ ორთაბრძოლაში რამდენი პარტიაა დაგეგმილი?

— თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩი (24 პარტიისაგან) ოქტომბერში უნდა დაიწყოს, პრეტენდენტები, ეტყობა, თებერვალ-მარტში შეხვდებიან ერთმანეთს. მათ 12 პარტია უნდა გაითამაშონ.

— რას ელით კარპოვ-ტიმანის ამ ორთაბრძოლაში?

— კარპოვს უდავო უპირატესობა ექნება. მან ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა ითამაშოს ჰოლანდიელი დიდოსტატის წინააღმდეგ. მასთან ადრეც ბევრჯერ უთამაშია და ანგარიშშიც დიდი განსხვავებაა. ტიმანი ძალზე არათანაბარი მოჭადრაკეა და ამდენად მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. მართალია, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაწესებულია დიდი ჯილდო (მთელი ქონება!) იმ შემთხვევაში, თუკი ჰოლანდიელი გაიმარჯვებს. თუმცა ფულს რომ მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა მატჩის მოგება შეეძლოს... მახსენდება ცნობილი ამერიკელი მწერლის უილიამ საროიანის სიტყვები: „კომერციას უფლება არა აქვს, მფარველობდეს ხელოვნებას“.

— მაშ ასე, თუკი დიდი სენსაცია არ მოხდა, ოქტომბერში ისევ კასპაროვ-კარპოვის (უკვე მეხუთე!) მატჩის მოწმენი გავხდებით. იქნება ეს მატჩი უკანასკნელი შეხვედრა მსოფლიო პირველობის დონეზე?

— თუ კასპაროვმა გაიმარჯვა ჩავთვალოთ, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იქნება ამ დონეზე. სხვა საკითხია, თუკი კარპოვმა მოიგო, რაც თავისთავად გამორიცხული არ არის, მაშინ კასპაროვი ყველაფერს გააკეთებს, რომ დაკარგული წოდება დაიბრუნოს. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეისათვის არა ჩანს მოჭადრაკე, რომელიც ღირსეულად ჩაერევა კასპაროვ-კარპოვის დაკაში.

— კასპაროვი „მსოფლიო თასის“ უკანასკნელ, მეექვსე ასპარეზობაში თამაშობდა შვეიცის ქალაქ შელეფტეეში, რომელიც ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა მასთან შეუთანხმებლად დანიშნა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილი — ლიონი.

— რახან ეს ასე მოხდა, ჩავთვალოთ, რომ მატჩი, სადაც გნებავთ, იქ ჩატარდება ლიონის გარდა. მართალია, კასპაროვს ძალიან უყვარს საფრანგეთში თამაში, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ამ ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციასთან, მაგრამ იგი არასოდეს დაუშვებს, რომ ვინმემ თავისი პირობები მოახვიოს თავს.

— თუ ლიონი უკუგდებული იქნება, მაშინ არის კიდევ ერთი წინადადება — ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან. რამდენად რეალურია ამ ქალაქის კანდიდატურა?

— ჩემი აზრით, სავსებით რეალურია.

— ვინ ეხმარება ამუამად კარპოვს?

— პრეტენდენტთა მატჩებში ჯერ იოჰან ჰიასტარსონთან (ისლანდია), შემდეგ კი არტურ იუსუპოვის წინააღმდეგ მას ეხმარებოდა ორი სეკუნდანტი: მუდმივი მწვრთნელი დიდოსტატი იგორ ზაიცევი (მოსკოვი) და ოდესელი საერთაშორისო ოსტატი მიხეილ პოდგაეცი. ზაიცევი დებიუტების კარგი მცოდნეა და. გარდა ამისა, ჩინებულად არჩევს გადადებულ პოზიციებს. რაც შეეხება პოდგაეცს, იგი საერთოდ ძალიან ორიგინალურად აზროვნებს და საინტერესო იდეები აქვს.

— თქვენ, ცხადია, უკეთ იცნობთ კასპაროვის შტაბს. თუ შეიძლება, ჩვენს მკითხველებსაც გააცანით.

— მთავარ ფიგურად ამ შტაბში იყო და რჩება ოსტატი ალექსანდრე ნიკიტინი. მან კასპაროვში ბავშვობიდანვე „გამოიცნო“ მსოფლიო ჩემპიონი და. შეიძლება ითქვას, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მას. კარგა ხანს კასპაროვს დიდად ეხმარებოდა ლვოველი დიდოსტატი იოსებ დორფმანი. რა თქმა უნდა, მისი თანამშრომლობა არც ახლა არის გამორიცხული, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დორფმანმა ხელშეკრულება დადო საფრანგეთის საჭადრაკო ფედერაციასთან და ახლა ნიჭიერ ოსტატს, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ჭაბუკებს შორის ჟოელ ლოტიეს ამეცადინებს. ხანდახან კასპაროვის შეკრებებში მონაწილეობენ ხოლმე ცნობილი დიდოსტატები სერგეი დოლმატოვი (მოსკოვი) და მიხეილ გურევიჩი (მოსკოვის ოლქი). სხვადასხვა საინფორმაციო სამუშაოს ასრულებენ ოსტატი ალექსანდრე შაჰაროვი და ოსტატობის კანდიდატი სერგეი ცატურიანი (ორიგე-ბაქოდან).

— ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ არ უნდა არსებობდეს ამოდენა შტაბები?

— ეტყობა, ეს ექსპერტები მართალნი არიან, მაგრამ ახლა შტაბები მხოლოდ კასპაროვსა და კარპოვს ჰყავთ.

— რას ელით მსოფლიო პირველობის 1990 წლის მატჩის შემდეგ?

— ბევრი ახლანდელი დიდოსტატი, ეტყობა, ხელს აიღებს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტობისათვის ბრძოლაზე. ვთქვათ ტიმანი, ლიუბოიეჩი, ჰიუბნერი. პრეტენდენტების „წრე“ საგრძნობლად გაახალგაზრდავდება.

— ვინ დარჩება ამ წრეში?

— საბჭოთა მოჭადრაკეებიდან თუ დავიწყებთ, პირველ რიგში დავასახელებდი ვალერი სალოვს, ვასილ ივანჩუკს, ბორის გელფანდს. სალოვი პრეტენდენტთა ახლანდელ ციკლშიც მონაწილეობდა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ ტიმანთან დამარცხდა. ახალ ციკლში მას უკეთესი პერსპექტივები ექნება. ახლა ბევრს წერენ ივანჩუკის შესახებ, რომელიც კოეფიციენტების ცხრილში მსოფლიოში მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს შორტთან ერთად. მართლაც. ივანჩუკს წელს. ტილბურგში უფერულ გამოსვლას თუ არ ჩავუთვლით, დიდი წარმატებები ჰქონდა და რამდენიც უნდა აღნიშნონ მისი გაუწონასწორებელი ხასიათი — ნერვიულობა, ტალანტს ვერ ავიწ დაუკარგავს. თუ გელფანდის სატურნირო გამოსვლებს დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი ყოველთვის თანმიმდევრული საიმედოდ, კარგად თამაშობს.

— უცხოელები?

— უცხოელებიდან ვფიქრობ, ორი ახალგაზრდა უნდა დაწინაურდეს. ფრანგმა ჟოელ ლოტიემ, რომელიც 18 წლისაა, შარშან დიდი ყურადღება მიიქცია. ჯერ იყო და ტიმიშოარაში მსოფლიო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა 16 წლამდე ჭაბუკთა შორის, შემდეგ სრულიად მოულოდნელად ადელაიდაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა 20 წლამდე ჭაბუკთა შორის. ასეთი რამ, დამეთანხმებით, ძალზე იშვიათად ხდება. წლეულს ჭაბუკმა ფრანგმა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დორფმანი ეხმარება, ორჯერ შეასრულა დიდოსტატის ნორმა და ამ წოდებას ფიდეს მორიგ კონგრესზე მიიღებს. ლოტიეს პარტიებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი ძალიან ნიჭიერია. ასევე ბევრს უნდა მოველოდეთ ინდოელი ანანდისაგან, რომელიც თავის ქვეყანაში, ასეთი საჭადრაკო ტრადიციები რომ აქვს, პირველი დიდოსტატი გახდა.

რა თქმა უნდა, ზოგიერთ უცხოელ დიდოსტატს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სიტყვა. ნაიჯელ შორტი, ასეთი მაღალი რეიტინგი რომ აქვს, ახლა მხოლოდ 24 წლისაა და პრეტენდენტთა ბრძოლის შემდგომი ციკლისათვის კიდევ უფრო მომძლავრდება. ჯონათან სპილმენმა ამ ციკლშიც საკმაოდ გამოიჩინა თავი. მას მეტად საინტერესო სტილი აქვს, მეტოქეებს თავისი ორიგინალური იდეებით საგონებელში აგდებს. ჭადრაკშიც მეტს გააკეთებდა, ერთი გარემოება რომ არა — მეტად ცუდი მხედველობა (-18!) აქვს, ერთი სიტყვით, თითქმის ბრმაა. კონკრეტულად გვარებს ვერ დავასახელებ, მაგრამ უნდა ველოდოთ ნიჭიერი ახალგაზრდობის დაწინაურებას ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინგლისი, ჰოლანდია და საფრანგეთი. აქ ჭადრაკს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა, რაც დაეტყო კიდეც ამ ქვეყნების ნაკრებთა წარმატებებს.

ერთი სიტყვით, ორიოდე წლის შემდეგ, და ეს ბუნებრივიცაა, დღევანდელი დიდოსტატების „ზედაფენაში“, ან, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, საჭადრაკო ელიტაში, თვალსაჩინო ცვლილებები უნდა მოხდეს. ახლანდელი კორიფეები, ცხადია, თავიანთ ადგილებს უბრძოლველად არ დათმობენ და, ასე ვთქვათ, კასპაროვის „გარშემო“ დიდი შენლა-შემოხლის მოწმენი გავხდებით.

ესაუბრა **ბივი გამრეკელი.**

იგი იტალიის ომიანი იბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იტყვიან. წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ვანო ბადუაშვილის თავზე. თორემ სხვა ალბათ ყოველგვარი სიმუხთლე უნახავს ამ ცხოვრებისაგან...

თბილისში დაიბადა. 1919 წელს. რკინიგზელი მუშა-მეისრის ნიკოლოზ ბადუაშვილის ოჯახში. ოთხი შვილი და დიასახლისი — მეუღლე მძიმე ტვირთად აწვა მარტოხელა მუშას... თანაც რა მძიმე პერიოდი იყო ის წლები. მაინც არ გაიტეხა გული მამამ — უფროსი შვილი თბილისის 29-ე შრომის სკოლაში შეიყვანა. მაგრამ გაჭირვებამ თავისი ქნა და მეხუთე კლასიდან გვერდში ამოიყენა — ჯერ მშენებლობაზე დააწყებინა მუშაობა. შემდეგ მძღოლს მიაბარა თანაშემწედ...

შრომაში გაკაჟებული. წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. 1941 წლის 23 ივნისს ახალციხეში ხვდება. ორი თვის შემდეგ კი მისი ნაწილი ხარკოვის მიმართულებით იგზავნება.

გასაოცარია! თითქოს მთელი ცხოვრება ფრონტის ხაზზე გაეტარებინოს. ისე უმალ შეეგუა დენთის სუნს...

საბრძოლო ეპიზოდები ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც დღე — დღეს. ღამე კი — ღამეს... ამიტომ მათი ჩამოთვლით თავს. არ მოგაბეზრებთ. 1942 წლის დამლეგს დნეპრის მისადგომებთან დაიჭრა... ნაღმის ნამსხვრევმა კუნთი გამოგლიჯა ფეხიდან, კისერთან კი ავტომატის ტყვიამ გაუარა...

— ლეიტენანტო. კაცი არა ხარ, მესროლე და გამათავე! — ევედრებოდა უმცროს ლეიტენანტს, რომელიც მას ზურგით მიათრევდა. — სამშვიდობოზე მაინც ვერ გამიყვან, ორივე ტყვედ ჩავვარდებით.

ძლივს დაამთავრა ამის თქმა და ლეიტენანტი გვერდზე გადავარდა. ზემოდან მძიმე ტომარასავით გადაეფარა უსიცოცხლო სხეულით. ვეღარ გაუძლო ტკივილებს, ლეიტენანტის სიმძიმეც სულს უხუთავდა და გრძნობა დაკარგა.

„როცა გონზე მოვედი, საბარგო მანქანაში ვიწექი სხვა ტყვეებთან ერთად, თავზე ორი ავტომატმომარჯვებული ფაშისტი ჰცველი გვედგა“, — იგონებს ვანო.

●

ახალი წელი ახლოვდებოდა. როვნოს საკონცენტრაციო ბანაკი ისე იყო გავსებული, რომ თავად გერმანელებმაც კი არ იცოდნენ, როგორ განეტვირთათ. ყოველ დღე ავსებდნენ საბარგო მანქანებს კომუნისტებით, ოფიცრებით, ებრაელებით და დასახვრეტად გაჰყავდათ ქალაქგარეთ...

ვანოს ფეხის ჭრილობა გაუმიზეზდა. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ ჭრილობაში მატლი გასჩენოდა და გამწარებული ფრჩხილებით იგლეჯდა. ლამის სისხლისგან დაცლილიყო... ბედზე ერთმა ღვთისნიერმა ტყვემ შეამჩნია მისი გასაჭირი — ექიმი აღმოჩნდა, ეროვნებით ებრაელი. რომელიღაც ტყვეს რაღაც დანისმაგვარი საგანი გაეკეთებინა და ამით უკვეთავდა ჭრილობებს თანამოძმეთ, უსუფთავებდა ჭიებისგან... მალე შეხორცება დაიწყო ფეხზე... კისრის განაკაწრი ხომ რა ხანია პირშეკრული იყო...

შიმშილი მაინც ყველაზე ძნელი მოსათმენი ყოფილა!

ერთ დღეს. არავინ იცის, ვინ მოიფიქრა, ან როგორ მოახერხა. ტყვეებზე დაცოფილი ბანაკის მცველი ძაღლი მიუხრჩვიათ... დაესივნენ, ვინც მოასწრო და უმად შეჭამეს — ტყავიც კი არ დაუტოვებიათ. ბეწვებით მაინც მიაგნეს კვალს ფაშისტებმა. სისხამ დილით გამოყარეს ბარაკებიდან ყველა ტყვე, დაამწკრივეს და ყოველი მეოცე დასახვრეტად გაიყვანეს. ამჯერად მეცხრამეტე აღმოჩნდა ვანო და პირველად შეშურდა სხვისი „სიკეთის“ — გაქცევის იმედი არ ჰქონდა. ფეხი ჯერ ამის საშუალებას არ აძლევდა, ასეთ ცხოვრებას კი სიკვდილს ამჯობინებდა!

კიდევ ერთხელ არ გასწირა ბედმა! ერთ დღეს ტყვეთა გულშემატკივარი ებრაელი ექიმი გასცა პროვოკატორმა. კვლავ დაამწკრივეს ტყვეები — როგორ გაბედეთ „იუდის“ დამალვაო და ყოველი მეათე დასახვრეტად გამზადებულ ჯგუფში გადაიყვანეს... ამჯერად მეცხრე აღმოჩნდა ვანო ბადუაშვილი! მერე ქალაქგარეთ გადაიყვანეს, სადაც რვა ათასი კაცი გაშიშვლებული ელოდა საბოლოო განაჩენს: ყველას თვალწინ დახვრიტეს ტყვე და მოსახლე ებრაელობა. ტყვეებიდან გადარჩეული ყოველი მეათე მებრძოლი...

ვანო ბადუაშვილის მოგონებიდან:

... ერთ დღეს ხმა დაირხა — გერმანიაში გვიპირებენ გაგზავნასო. იმ დღეს დაცვაც გაძლიერებული იყო. მეორე დილას უთენია წამოგვყარეს ფეხზე, ჩაგვყარეს დახურულ მანქანებში და რკინიგზის სადგურში გაგვიყვანეს. იქ უკვე გამზადებული საბარგო მატარებლის ეშელონი იდგა — კონდახების ცემით შეგვყარეს ვაგონებში, გარედან კარები გადაგვიკეტეს და ჩამობნელდა ვაგონში. ვინც სად მოხვდა, იქვე ჩაჯდა. გვერდს ვერ შეიბრუნებდი, გულით რომ მოგენდომებინა — იმდენი ტყვე შემოყარეს ვაგონში...

არ ვიცი, რამდენ დღეს მივდიოდით: გზაში ნამცეცი პურიც კი არ მოუციათ და დღე-ღამის დასათვლელად ვის ეცალა! რომელიღაც უცხოურ ქალაქში გადმოგვყარეს ეშელონიდან... იქვე სადგურში „დაგვახარისხეს“, რატომღაც ქართველები გამოგვაცალკევეს. ერთი გამყიდველი რუსი — თარჯიმანი, ფაშისტურ ფორმაში რომ გამოწკეპილიყო, მოგვიახლოვდა და „გვახარა“: — მოვიდა თქვენი ბედის აღსასრული, კავკასიელო ავაზაკებო, წადით ახლა და თქვენს სტალინს სთხოვეთ დახმარება. ჰიტლერმა ბრძანა — არც ერთი ქართველი არ ვნახო ცოცხალიო და ახლა თქვენც ურჯულო ებრაელების ბედს ეზიარებითო.

ერთ-ერთმა ქართველმა, რომლის წინაც იგი იდგა, სახეში შეაფურთხა. მოღალატემ პისტოლეტი დააძრო და მწკრივში დაახალა ტყვია. სროლის ხმაზე ფაშისტები მოვარდნენ, თარჯიმანმა აუხსნა სიტუაცია. ორმა ჯარისკაცმა მკვდარი ქართველი ფეხებით დაითრია. ჩვენ კი ერთ-ერთ ვაგონში შეგვყარეს.

●

ყოფილი პარტიზანის გრიგოლ ფაილოძის მოგონებიდან:

1944 წლის 7 მაისს ფაშისტებმა სამუშაოდ წაგვიყვანეს კონდოვოს რკინიგზის სადგურში. შუადღისას ჩვენმა ზედამხედველმა ნება დამრთო, სადგურის წინამოედანზე გავსულიყავი წყლის დასალევად. პირველ საცხოვრებელ სახლთან გავლისას

ვიღაცამ ფანჯარაზე დააკაკუნა და ქართულად მითხრა, ცოტა ხნით შემოდიო. ოთახში სამნი იყვნენ. როგორც შემდეგ შევიტყვე, პარტიზანები ყოფილან: იტალიელი ბლანდინო ვიტორიო და ორიც ჩვენი თანამემამულე — გიორგი ნასარიძე და ამირან ვარდანაშვილი.

ნასარიძემ მითხრა, დაზვერვაზე ვართ ჩამოსული და თუ გინდათ, წამოდით ჩვენთან პარტიზანად, როდემდე უნდა იყოთ გერმანელი ფაშისტების მონობაშიო. სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა... ბანაკში, ამხანაგებთან ერთად შევიმუშავეთ გაქცევის გეგმა და პარტიზანებსაც ვაცნობეთ ჩვენი გადაწყვეტილება. ასე მოვხვდით მე-17 პარტიზანულ ბრიგადაში მე, გიორგი მათიაშვილი, ვანო ბადუაშვილი (რიკრიკა), საშა კუპრაშვილი, სიმონ სიმონიშვილი, დარჩია, ნამიჭეიშვილი და სხვები...

— პარტიზანების საბრძოლო ეპიზოდების შესახებ ხომ არაფერს მოგვითხრობთ? — ვეკითხები ბატონ ვანოს.

— აბა, რა მოგიყვეთ. ყველა ვაჟკაცურად იბრძოდა, თავს არავინ ზოგავდა, ვაჟკაცისა და მამაცი პარტიზანის სახელიც იმიტომ დაიგდო იტალიის მთებში თითოეულმა ქართველმა!

იძულებული ვარ, ისევ უამრავ გაზეთის ამონაჭერსა და ბორის შურღაიას წიგნს „ქართველები იტალიის მთებში“ მივმართო, სადაც სხვა პარტიზანთა საგმირო საქმეთა შორის არც ვანო-რიკრიკა ბადუაშვილის ღვაწლია დავიწყებული.

ეს ამონაჭერი 1973 წლის „სოფლის ცხოვრებიდანაა“: „ყველა მიმართულებიდან მიიწევდნენ პარტიზანები. მათ წინსვლას მხარს უჭერდა ვანო ბადუაშვილისა და ლეო მარგიევის ტყვიამფრქვევების ცეცხლი. მეტყვიამფრქვევეებმა ბრძანება მიიღეს: შეექმნათ ცეცხლის საფარი, თვალყური ედევნებინათ მათთვის და, თუ შეამჩნევდნენ პარტიზანების დამარცხებას, მათი ტყვედ ჩავარდნის საშიშროებას, მაშინ ცეცხლი ალყაში მოქცეული ამხანაგებისკენაც უნდა მიემართათ, რომ ცოცხლად ხელთ არ ეგდოთ ფაშისტებს.

იტალიელმა პარტიზანებმა, როგორც კი გაიგეს შოთა ნამიჭეიშვილის დაღუპვა, თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს მარჯვენა ფლანგიდან. ბრუნო პირველი გადაეშვა ბრძოლაში, მას მიჰყვა მთელი ჯგუფი. ასე

იძიეს იტალიელებმა შური ფაშისტებზე ქართველი პარტიზანის დაღუპვისათვის“, — იგონებს ყოფილი პარტიზანი ვარლამ რევია.

ქვლავ ბ. შურღაიას თვრამეტი წლის წინათ გამოცემულ, მცირეფორმატიან მოგონებების წიგნს ვფურცლავთ:

„ამოცანა ასეთი იყო: უნდა აგვეფეთქებინა დაბა ავილიანოში რკინიგზის პირას მდებარე დინამიტის ქარხანა და დაბა სანტანტონინოს ხიდი... რაზმი ორად გაიყო. ერთ ნაწილს ქარხნის აფეთქება დაევალა, ხოლო მეორეს — ხიდისა. ღამის თორმეტ საათზე სოფელ რუბიანას მივადექით. იქ ავტომანქანა დაგვხვდა. ჩვენი ჯგუფი... სულ ათი-თხუთმეტი კაცისაგან შედგებოდა. აქ იყვნენ თვით რაზმის მეთაური ალესიო მაფიოდა, ნოე კუბლაშვილი, ვასილ ურუშაძე, გრიგოლ ჩხაიძე, ივანე (რიკრიკა) ბადოშვილი და სხვები (ბ. შურღაია თავის წიგნში, ყველგან, სადაც იგი ვ. ბადუაშვილს ახსენებს, შეცდომით ბადოშვილად წერს)... გუშაგებს ისე მოულოდნელად წაადგნენ თავს, მათ დაყვირებაც ვერ მოასწრეს... სასწრაფოდ შევცვივდით ქარხანაში და... რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი მიდამო აფეთქების საშინელმა გამაყრუებელმა ხმამ მოიცვა...“

„ივნისის შუა რიცხვებში ჩვენმა მზვერავმა ქალმა მარია ლაზარეტომ შეგვატყობინა, ტორინოსა და ავილიანოს შორის მდებარე დაბა რივოლში ცამეტი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცების ჯგუფი იმყოფებაო... გადავწყვიტეთ მათზე თავდასხმა. იმავე საღამოს დაახლოებით 80-90 კაცამდე შევგროვდით, თითოეული ჯგუფიდან ხუთ-ხუთი ვიყავით. იარაღიც საკმარისი გვქონდა: 50-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევები, ავტომატები და ხელყუმბარები. ღამის 12 საათზე სოფელ რუბიანში შევიკრიბეთ. აქედან ავტომანქანებით გავემგზავრეთ. რივოლს რომ მივუახლოვდით, მანქანებიდან გადმოვედით და ფეხით განვაგრძეთ გზა. გერმანელთა დასაზვერად ორი კაცი გავგზავნეთ, ერთი იტალიელი და ერთი ქართველი, ვანო ბადოშვილი, რომელსაც მეტსახელად რიკრიკას ვეძახდით. თურმე ისინი ისე ახლოს მივიდნენ შენობასთან, სადაც გერმანელები იყვნენ, რომ უეცრად ღამის სიბნელეში პირისპირ წაადგნენ ფაშისტ გუშაგს. ამ მოულოდნელი შეხვედრით შეცბუნებულებმა ერთმანეთს ხელი სტაცეს. შემდეგ გუშაგმა ყვირილი მორთო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ყვირილზე გერმანელებმა განგაში ატეხეს და ყველანი ფეხზე დადგნენ, მაგრამ ბადოშვილმა გუშაგს ხმა სამუდამოდ ჩააწყვეტინა... სისწრაფე და ელვისებური მოქმედება იყო საჭირო... ყორეზე სასწრაფოდ გადავეშვით და ხეების საფარში დავიჭირეთ პოზიციები... როგორც შემდეგ გამოირკვა, შენობაში მტრის მცირე ჯგუფი კი არა, მთელი ბატალიონი ყოფილა დაბანაკებული... ნამდვილად რაღაც სასწაული იყო — არც ერთ ჩვენთაგანს ტყვია არ გაჰკარებია“.

ვანო ბადუაშვილის მოგონებიდან:

— ომი დასასრულს უახლოვდებოდა. პარტიზანებში ხმა გავრცელდა: საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო მისია ჩამოსულა და ყველა საბჭოთა მოქალაქეს იწვევს მათი რეპატრიაციის მიზნითო. სამშობლოში დაბრუნების სიხარულმა მოგვიცვა, მაგრამ ჩვენი იტალიელი თანამებრძოლების მტერთან მარტო დატოვებაც არ შეგვეძლო. მალე ჩვენს მისადგომებზე ფაშისტის ნასახიც აღარ გამოჩენილა და თავად იტალიელებმა გვირჩიეს საფრანგეთისკენ გამგზავრება, თანაც [illegible] ენის მცოდნე მეგზური გაგვაყოლეს. ასე გადავლახეთ სამოცდაცამეტმა ქართველ[illegible] ალპები და ფრანგულ სასაზღვრო დაბა ლევეროლში ჩავედით. ფრანგები მეგობრულად შეგვხვდნენ, ამერიკელმა ოფიცრებმა კი თავიანთ ნაწილებში ჩარიცხვა შემოგვთავაზეს. ჩვენ მტკიცე უარი განვაცხადეთ და ვთხოვეთ, ჩვენს სამხედრო მისიასთან დავეკავშირებინეთ. ბოლოს შევთანხმდით: ჩვენ მათ პისტოლეტის გარდა ყველა სხვა სახის იარაღს ჩავაბარებდით, სამაგიეროდ ისინი ჩვენ ქალაქ გრენობლში გაგვიშვებდნენ, სადაც ჩვენი სამხედრო მისია იმყოფებოდა...

ასე დავბრუნდით სამშობლოში, სადაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სიხარულს საკუთარი ოჯახის წევრებთან შეხვედრის განუმეორებელი სიხარული ემატებოდა... მათ ხომ ჩვენ დიდი ხნის გამოტირებული ვყავდით!

●

გერმანელ ფაშისტებთან გამოჩენილი სიმამაცისათვის საბჭოთა არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ვანო ბადუაშვილი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და მრავალი მედლით დააჯილდოვა. არც იტალიის გამათავისუფლებელი არმიის მთავარსარდლობას დავიწყებია იტალიის მთებში მებრძოლი ქართველი პარტიზანი, ცქვიტი, მამაცი და მოხერხებული „რიკრიკა“: ჯუზეპე გარიბალდის ვარსკვლავითა და მედლებით („25 აპრილი 1945 წ.“ და „1882-1982 წწ. ჯ. გარიბალდი“) დააჯილდოვეს.

სამშობლოში დაბრუნებული ერთხანს სოჭში მუშაობს, შემდეგ მშობლიურ თბილისს უბრუნდება და პენსიაში გასვლამდე მე-5 ავტო-სატვირთო მანქანების სამმართველოს მძღოლია. 1969 წლიდან კომუნისტური შრომის დამკვრელია. დაჯილდოებულია რვა საპატიო სიგელით, სამჯერ — ხუთწლედის სოცშეჯიბრში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით. მიღებული აქვს შრომის ვეტერანის მედალი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო მედალი...

სადღესასწაულოდ დღე ისე არ გავა, რამდენიმე წერილი და მოლოცვის ბარათი რომ არ მოვიდეს იტალიიდან.

არც ამით თავდება ვანო ბადუაშვილის ურთიერთობა ყოფილ იტალიელ პარტიზანებთან: წელი არ გავა, იტალიელები რომ თბილისში არ ჩამოვიდნენ; გულით შეიყვარეს ქართველ თანამებრძოლთა მშვენიერი სამშობლო. ჰოდა, ამ დროს თავს იყრიან დედაქალაქში იტალიის მთებში მებრძოლი პარტიზანები, შეხვედრებს უწყობენ მეგობრებს აპენინის ნახევარკუნძულიდან, ათვალიერებინებენ საქართველოს, იგონებენ დაღუპულ მეგობრებს... განშორების წინ კი პარტიზანულ კოცონს აგიზგიზებენ ლისის ტბის პარტიზანთა ხეივანში...

ჯემალ მჭედლიშვილი

სურათზე:

1. პატარძეულთან. ომში დაკარგულთა ხსოვნის სამრეკლოსთან: ყოფილი იტალიელი პარტიზანები (მარცხნიდან): შ. ტივაძე, ვინკო ჯუგლარი, რენცო, ვ. ბადუაშვილი, უცნობი იტალიელი პარტიზანი.

2. ყოფილი იტალიელი პარტიზანების გულღია მახპინძელია ჩვენი სახიქადულო მოღვაწეების მედეა ჯაფარიძისა და რევაზ თაბუკაშვილის ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერიანი



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ოქროს მატარებელი კამეჩი

1977 წელს სოფელ კაითხალის მკვიდრმა გლეხმა (ინდოეთი) ბაზრიდან კამეჩი მოიყვანა. ვინაიდან კამეჩი ინდოეთში შეტად პატივსაცემი ცხოველია, ხაზეიმო წუთების აღსანიშნავად დიახალლისმა სუფთა ხორბალთან ერთად, თავისი ყველაზე ძვირფასი განძი — ოქროს მონეტების ზარდახშა მიართვა. პირუტყვმა ძვირფასი ზარდახშა საოცარი სიმშვიდით გადაულაკა.

რასაკვირველია, აზრი ქირურგიულ ჩარევაზე თავშიც არავის მოსვლია. თერთმეტ წელიწადს ემსახურებოდა ოჯახს ოქროს მატარებელი ცხოველი და იგი ამ სოფლის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა.

როდესაც ცხოველმა სული განუტევა, მისმა პატრონმა მთელი სოფლის თანდასწრებით გახსნა საგანძური. ოქროს მონეტები, რომლის ფასიც თვრამეტ ათას რუპს შეადგენდა, ორმოც ათასამდე გაიზარდა.

38 მილიონი დოლარი სურათში

ლონდონში აუქციონზე გაიყიდა და ევროპიდან იტალიაში გადაინაცვლა პაბლო პიკასოს ვარდისფერი პერიოდის" შედევრმა — „ჯამბაზი და ახალგაზრდა არლეკინი". სურათი მანამდე კერძო კოლექციაში ინახებოდა. მე-20 საუკუნის უდიდესი მხატვრის ნაწარმოები უცნობმა იაპონელმა 38 მილიონ დოლარად შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში არც ერთი მხატვრული ნაწარმოები ასე ძვირად არ გაყიდულა.

ახირებული კოლექციონერი

ქალაქ სანის (აშშ) მკვიდრის შელბი ბუშის პობს წარმოადგენს ყველასათვის უსარგებლო ავტომობილის საბურავების კოლექცია. ამ გატაცებას მან თავისი სიცოცხლის ზუსტად თვრამეტი წელი მოანდომა. მუზეუმში ღიაცის ქვეშ, რომელსაც „საბურავების დედამიწა" ეწოდება, ასი ათას ექსპონატზე მეტია. სამწუხაროდ, შელბის თანამემამულეები მის ენთუზიაზმს არ იზიარებენ — რეზინის მთა, რომელიც აღმართა კოლექციონერმა, სრულიადაც არ ამშვენებს აქაურ ლანდშაფტს.

ამჟამად, ხელისუფლება ცდილობს, კანონის საფუძველზე ქალაქს პირვანდელი სახე დაუბრუნოს. ამის განხორციელება არც თუ ისე იოლია, რადგან რეზინის მთა კერძო საკუთრებას წარმოადგენს. /



ჰაერიანი

●

— ძაღლი დამეკარგა.

— მერედა, რატომ არ აცხადებ გაზეთში?

— სულელო, ეს რას მიშველის. ჩემმა ძაღლმა ხომ კითხვა არ იცის.

●

— თქვენ ბევრს უკრავთ და მღერით? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა ერთ მომხიბვლელ მომღერალ ქალს.

— მხოლოდ დროის მოსაკლავად, — უპასუხა ქალმა.

მუსიკის მოუვარული

— ჯონ, მუსიკა გიყვარს?

— ოჰ, დიახ, რაღა თქმა უნდა!

— და ყველაზე უფრო მაინც რა ჟანრის მუსიკა მოგწონს?

— როცა მეზუკე ჩაჰბერავს და სიგნალს მოგვცემს, სადილის დრო მოვიდაო.

●

გამოუსწორებელი ლოთი დაიყოლიეს, ხელი მოეკიდა ბაისა-ით გასათვის, რათა თავი ხელში აეყვანა და სმა მიეტოვებინა.

10 თვის ვარჯიშის შემდეგ ის ამ საქმეში საკმაოდ დახელოვნდა.

— გამოადგა იოგა შენს ქმარს? — ერთხელაც შეეკითხნენ ლოთის მეუღლეს.

— მხოლოდ ერთ რამეში: ახლა მას შეუძლია, ყირაზე მდგარმა დალიოს, — უპასუხა ქალმა.

●

აეროპორტში საბილეთო სალაროს ორი აგენტი მგზავრებს ბილეთებს უმოწმებდა. ერთ გენერალს ბილეთი არ აღმოაჩნდა.

— იცით თუ არა, მე ვინა ვარ? — იყვირა მან.

ერთი აგენტი მეორეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ამ ჯენტლმენს ჩვენი დახმარება ესაჭიროება — მან არ იცის, თუ ვინ არის.

●

— ოფიციანტო, ეს ვაშლის ღვეზელია თუ ატმისა? მას წებოს გემო დაჰკრავს.

— ო, სერ, ეს ატმის ღვეზელია ვაშლის ღვეზელს მუყაოს გემო აქვს.

●

— მე შევქმენი კომპიუტერი, რომელიც თითქმის ადამიანია.

— ეს როგორ?

— როცა შეცდომას უშვებს, მეორე კომპიუტერს აბრალებს.

●

ერთმა ფაშფაშა ლედიმ რესტორანში სადილობა დაამთავრა და დესერტი მოითხოვა:

— მომიტანეთ, გეთაყვა, გაფცქვნილი ბანანი, ნაყინი, ცხელი შოკოლადი და ათქვეფილი ნაღები.

— კეთილი, მადამ, — უთხრა მომტანმა, — დამატებით ალუბლის წვენსაც ხომ არ ინებებდით?

— ღმერთო ჩემო, რაღა თქმა უნდა, არა. დიეტაზე გახლავართ.

სპორტული სანახაობის გამოტოვებისათვის

ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც ელექტრონიკას ასწავლიდა ამ გილობრივ საშუალო სკოლაში, ხანდახან მცირეოდენი ფულიც რჩებოდა ტელევიზორის შეკეთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალე-რუალეს სასახლე

1629 წელს კარდინალმა რაშელიემ არქიტექტორ უაკ ლუი მერსიეს დაავალა ლუვრის შენობის გვერდით სასახლის აგება იმ პირობით, რომ შენობა იქნებოდა სადა.

1642 წელს ახლად აგებულ შენობაში გარდაიცვალა რიშელიე. მისი ანდერძის თანახმად სასახლე დიდი ბაღით გადაეცა ლუდოვიკო მეცამეტეს.

სასახლე გახდა სამეფო და მიიღო პალე-რუალეს სახელწოდება. ლუდოვიკო მეცამეტეს გარდაცვალების შემდეგ სასახლეში თავისი არასრულწლოვანი შვილით — ლუდოვიკო მეთოთხმეტეთი დამკვიდრდა ანა ავსტრიელი.

როგორც ალექსანდრე დიუმა — მამა გადმოგვცემს, დარტანიანის მრავალი თავგადასავალი, რომელიც ინტრიგებთან იყო დაკავშირებული, სწორედ პალე-რუალეს სადა ფასადის მიღმა ხდებოდა. ამიტომ 1789 წლის რევოლუციამდე პალე-რუალეს სახელი შეელახა. რევოლუციის წლებში კი იგი გახდა მიტინგების ძირითადი ადგილსამყოფელი.

მოგვიანებით, მხოლოდ ნაპოლეონმა შეძლო სასახლეში სახტიკი წესრიგის დამყარება და სახელმწიფო საბჭოს განმტკიცება.

პალე-რუალე ამჟამად საფრანგეთის უმთავრეს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს.

ყველაზე გავრცელებული რელიგია

ამერიკის მოსახლეობის ნაზოგადი ებრივი ბიუროს ცნობით, პლანეტაზე ამჟამად 984 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს. ისლამი, რომელიც ყველა ქვეყნის მოსახლეობაშია, დედამიწაზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული სარწმუნოებაა. მოსახლეობის ბიურომ ცნობით 2025 წელს მუსულმანთა რიცხვი 1.9 მილიარდს მიაღწევს. ამ რელიგიის მიმდევართა დიდი ნაწილი თავმოყრილია ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილო აფრიკისა და დასავლეთ აზიის 22 ქვეყანაში.



ერთ საღამოს, როცა მისტერ ბრაუნს ტელევიზორი გაუფუჭდა, მასწავლებელს ეწვია და შინ მიიყვანა. ორი საათის მუშაობის შემდეგ მისტერ ბრაუნმა იგი ყავასა და ნამცხვარზე დაპატიჟა. სანამ შეექცეოდნენ, მასპინძელმა ჰკითხა მასწავლებელს, რამდენი უნდა გადაეხადა მისთვის.

— თქვენ ჩემთან მოხვედით და წამომიყვანეთ, დამპატიჟეთ ყავასა და ნამცხვარზე. ახე რომ, სამუშაოში არაფერს გახდევინებთ. ოღონდ ორი დოლარი უნდა გადამიხადოთ სპორტული სანახაობის გამოტოვებისათვის, — უპასუხა მასწავლებელმა.

●

როცა პაციენტის გასინჯვას მორჩა, ექიმმა გადაწყვიტა, მისთვის სიმართლე ეთქვა.

— მდგომარეობა მეტად რთული და სერიოზულია. თქვენ მძიმე ავადმყოფი ხართ და ვერაფრით დაგაიმედებთ. ვის ნახვას ისურვებდით უკანასკნელად?

— სხვა ექიმისა, — ამოიკვნესა ავადმყოფმა.

●

ტურისტი: ირგვლივ რა გონებაჩლუნგი ბუზები დაფრინავენ, არა?

სასტუმროს ადმინისტრატორი: გონებაჩლუნგი? აბა, დღეში ორ დოლარათ რისი მოლოდინი გქონდათ, განათლებულებისა?

●

ექიმმა გასინჯა პაციენტი და უთხრა:

— ვერ ვიპოვე თქვენი ავადმყოფობის მიზეზი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი სმისაგანაა გამოწვეული.

— მაშინ, როდესაც გამოფხიზლდებით, მერე მოგაკითხავთ, — უპასუხა პაციენტმა.

●

დიკი: ო, ჩარლი, რა თბილად გაცვიათ!

ჩარლი: ხო, ცივი ამინდისათვის თადარიგი დავიჭირე, ოღონდ ეროი რამ მაწუხებს.

დიკი: რა?

ჩარლი: ველარ ვინძრევი.

●

ამერიკული კოლეჯის მეორეკურსელი ახალგაზრდა ფრანგი სტუდენტი მეგობრებმა კონცერტზე მიიწვიეს, სადაც მის პატივსაცემად ფრანგულ სიმღერებს ასრულებდნენ.

— ეური მიგდე, მეგობარო, — ვხედავ, ამ ფრანგულმა სიმღერებმა სამშობლო მოგაგონა და დაგანაღვლიანა, — უთხრა ფრანგს ერთმა ამხანაგმა.

— არა, ჩემო კარგო, — უპასუხა მან, — მხოლოდ ეგ არის, ცუდად გავხდი.

●

მასწავლებელი: ჯონ, ვთქვათ, შენს ძმას ბუთი ვაშლი აქვს. შენ ამოიღე ორი. რა შედეგი იქნება?

ჯონი: უსათუოდ მცემს. პატივცემულო!

●

ფსიქიატრი პაციენტს ეუბნება:

— გესმით როდესმე ხმები იმგვარად, რომ არ იცით, ვინ ლაპარაკობს?

— დიახ, სერ.

— როდის ხდება ეს?

— როდესაც ტელეფონზე ვლაპარაკობ, სერ.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ლორთქიფანიძემ.

ჯვარედინი



ვერტიკალურად: 1. ბოსტნეული კულტურა; 2. სამხედრო წოდება; 3. ნახევარკუნძული აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში; 4. მიბაძვა, მიმსგავსება; 5. საშუალო სიმაღლის მთები აზერბაიჯანის სსრ-სა და ირანის საზღვარზე; 7. დაწყება, გაშვება; 9. ვაზის ამერიკული ჯიში; 11. ტერიტორია აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; 12. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 14. ჩვეულება, წესი; 16. მდინარე საქართველოში; 18. საფრენი აპარატი; 19. სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალდატანებითი შეერთება (მიტაცება); 20. ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახიდან; 21. საბერძნეთის დედაქალაქი; 22. მე-19 საუკუნის რუსი ფერმწერი; 25. მონათხრობი ვინმეს ან რაიმეს შესახებ; 26. ბუმბულის ერთ-ერთი სახეობა; 28. მდინარე სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში; 30. ძველი ბერძენი დრამატურგი; 33. მბარე, რკინიგზის სადგური და ქვაბული დასავლეთ საქართველოში (დაახლოებით ემთხვევა ტყიბულის ზონას); 34. ოცნება, ზმანება.

თარაზულად: 1. ბურუუაზიულ სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის არჩევითი ორგანო; 8. მუსიკალური კილო; 10. თევზი ვირთევზასებრთა ოჯახიდან; 11. ორგანული მასის დაწვის შედეგად მიღებული ნარჩენი; 12. მორწყვა, შესხურება; 14. არსება, რომელსაც აქვს ცნობიერება, დანაწევრებული მეტველება და — ქმნის კულტურას; 15. დაბა თეთრი წყაროს რაიონში; 17. ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა; 23. კინომსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი; 24. ქალაქი უაზასეთის სსრ ყარაღანდის ოლქში; 27. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი; 29. ქურთების ნაწილი, რომელიც აღიარებს განსაკუთრებულ რელიგიას; 31. ავტომობილის მარკა; 32. ლიტერატურული ჟანრი; 35. თოფი, თოხი, ბარი, დანა — კრებითი სახელი; 36. ქალაქი უკრაინის სსრ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთში.

შეადგინა ციური ბაღაშვილმა

„დროშა“ № 1-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ბაფთა. 4. ალტინგი. 7. გინეა. 8. ფონდი. 11. კობალტი. 13. „იოლანტა“. 14. ამპლიტუდა. 15. სადაფი. 17. სტადიონი. 21. რაციონი. 24. ტორტი. 25. ლაბტი. 26. ალდგომა. 28. ეტიუდი. 29. ჩინარი. 30. იდენტიფიკაცია.

ზვეულად: 1. თაფლი. 2. „ბალავერი“. 3. ანგელოზი. 5. ბიბლია. 6. იდილია. 9. იბერია. 10. ანანდი. 12. სტიმული. 16. ფარაჯა. 18. „ტოიოტა“. 19. სონეტი. 20. შტრაუსი. 22. კალანდა. 23. სტვირი. 27. გოლფი.

„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“.

ილია

ფოტო გოგი ცაგარელისა

გარეკანის პირველ გვერდზე: დავით აღმაშენებელი. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.
გარეკანის მეოთხე გვერდზე: „დაისი“ ქვათახევში.

გადაეცა წარმოებას 28.12.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.02.90. უე 07828. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 54.500. შეკვეთა 2861. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—98-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული ჯასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6 125/98